

განტანგ ჭანკოტაძე

წიგნი ეძღვნება ანგარდაცვლილი
გორელების ხსოვნას

...და

პაროლ

ცენტრ

(ხსოვნის წიგნი)

ნაწილი მეორე

თბილისი
2007

ავტორისაგან

წიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე გიორგი, ბაზან-დარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბეჭაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე ბეჭანი, გამგე-ბელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდწითელი თემურაზი, გულაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გურამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიქო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი ქობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალებაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მაისურაძე გივი, მერაბიშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშა), მუკნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჯემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ღონდაძე თემური, ყენოშვილი ოთარი, შაფთოშვილი მიხეილი, შერმადინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წერიალაშვილი იოსები, ხოჭევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი

წიგნი გამოიცა გარდაცვლილთა ახლობელ-ნათე-საგებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმეული.

რედაქტორი ა. ბიძინაშვილი
მხატვარი ნ. კოჯაშვილი

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ ქ. გორის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში და ეთნო-გრაფიკულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსახრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხრა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინაცვლი გამოიქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მაგანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხვოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწერდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უკვდავყოფასაც მოიხსერვებენ ოჯახის წევრები და ახლობელნათესავები თუ მეტობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუ-
მენტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლე-
ბლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღ-
ვაწევბის შესახებ.

გავითვალისწინებ რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურ-
კილი, მკითხველს ვთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („და ვანთებ
სახოლებ“) მეორე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მესამე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ოქტ: 7-81-81, 7-50-30, 893 62-17-56).

აბაიაძე ივანე



ივანე თევდორეს ძე აბაიაძე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელმაც რთული და მრავალწახნაგოვანი ცხოვრების გზა ბრძოლითა და თავდაუზოგავი შრომით გაიარა. გაიარა და მნიშვნელოვანი კვალიც დაამჩნია ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს.

ომის (1941-1945 წ.წ.) და ომისშემდგომ პერიოდში საგრძნობი იყო მომზადებული და განათლებული კადრების როგორც თვისობრივი, ისე ფიზიკური დეფიციტი და ადამიანებს (განსაკუთრებით სპეციალისტებს) ხშირად უხდებოდათ სამუშაოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო ამოცანებიდან გამომდინარე.

ივანე აბაიაძესაც, როგორც განათლებულს და გამოცდილ პიროვნებას, ხშირად უცვლიდნენ სამუშაო ასპარეზს და ისიც ყველა იღწვედა მთელი ძალების სრული მობილიზაციით და მოქალაქეობრივი მაღალი პასუხისმგებლობით.

ივანე აბაიაძე დაიბადა 1912 წელს ქ. ხაშურში. მამა, თევდორე გაბრიელის ძე აბაიაძე ხაგრძლივი დროის პერიოდში ფლობდა წისქილს და დაუდალავი შრომით ემსახურებოდა ხალხს და ოჯახს. ივანეს დედა, ქალბატონი სოფიო ცაბაძე იყო ხაშურში ცხობილი დიასახლისი. თევდორესა და სოფიოს ოჯაში აღიზარდა ოთხი შვილი (ამირანი, გაბრიელი, ივანე და თამარი), რომელთაგან დღეს აღარავინაა ცოცხალი.

ივანე აბაიაძემ 1928 წელს დაამთავრა გორის აგრონომიული ტექნიკური და რამდენიმე წელი იმუშავა აგროტექნიკოსად. 1937 წელს ბატონმა ივანემ დაამთავრა გორის პედაგო-

გიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს დაინიშნა გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის სკოლის დირექტორად. არ დასჯერდა ორ დიპლომს და დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც აგრონომის სპეციალობით.

სხვადასხვა წლებში ივანე აბაიაძე მუშაობდა გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ (1939-1944), შავშეგების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურის დირექტორად (1979-1973), „გორგაჭრობის“ (მაშინდელი „საქაჭრობის“) დირექტორად და ა.შ. მის ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაზე მეტყველებს დამსახურებულად მიღებული მაღალი სამთავრობო ჯილდოები: „შრომის წითელი დროშის ორდენი“, „საპატიო ნიშნის ორდენი“, „გაგასიის დაცვისა“ და „შრომითი მამაცობის“ მედლები, საპატიო სიგელები და დიპლომები. მინიჭებული პქონდა რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომის წოდება. მრავალჯერ იყო არჩეული საქალაქო თუ სასოფლო საბჭოების დეპუტატიცად.

ძეირფასი და კაცომოვარე ოჯახი შექმნა ბატონმა ივანემ ქალბატონ მარგალიტა თურმანიძესთან ერთად. ამჟამად მისი ოჯახის ტრადიციებს ლირსეულად აგრძელებენ: „შვილები – გიორგი (ისტორიკოსი, ამჟამად პენსიონერი), ლეილა, იგივე მზია (ბიოლოგი, თბილისის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი) და შვილიშვილები – იოსები (მშენებელი ინჟინერი), ივანე (ეკონომისტი), ხათუნა (მიკრობიოლოგი, პროფესორი) და მიხეილი (ინჟინერ-მელიორატორი).

ბატონ ივანე აბაიაძის ოთხი შვილთაშვილი ამაყად დააბიჯებს დღეს მადლიან ქართულ მიწაზე.

საშუალო ტანის, ძლიერი ფიზიკური მონაცემებისა და მოხდენილი გარეგნობის კაცი იყო ბატონი ივანე. ახალგაზრდობაში გატაცებული ყოფილა ჭიდაობით და ფეხბურთით, მაგრამ მისი ძირითადი ასპარეზი მაინც იყო პარტიულ-სამეურნეო მოღვაწეობა, სადაც მან მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს

ახლობელ-ნათესავები, მეზობლები და მეგობრები ბატონ ივანეს ახასიათებენ როგორც გულმსურვალე პატრიოტს, მომთხოვნს და სამართლიანს, იმავდროულად გულთბილ და კეთილ პიროვნებას.

მრავალ საინტერესო ეპიზოდს იხსენებენ ახლობლები მისი

ცხოვრებიდან. აი, ერთ-ერთი.

მანქანით მიმავალს შორიდან შეუმჩნევია, რომ მისი ბადიდან ვიღაც ახალგაზრდამ გაშლი გამოიტანა და მძიმე ტვირთით გაუყვა გზას. ბატონი ვანო წამოსწევია, მანქანა შეუჩერებია და მიუმართავს, — ცოდო ხარ, დაჯექი მანქანაშიო. მიხმარებია ტვირთის ჩადებაში და სახლში მიუყვანია. გადმოტვირთვისასაც მიხმარებია, მხარზე ხელი მოუცაცუნებია და უთქვამს: „გეტეობა, ჩემი ბადის ხილი ძალიან მოგწონს და თუ მომავალშიც დაგჭირდეს, ნუ მოგერიდება, მთხოვე და წაიღე რამდენიც გენებოსო“.

მაშინ საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იყო ბატონი ივანე აბაიაძე.

დღეს კი აღარც საბჭოთა მეურნეობები არსებობს და სამწუხაროდ, აღარც ბატონი ივანე აბაიაძე ცოცხალი. იგი გარდაიცვალა 1975 წელს, მაშინ, როდესაც დამსახურებულად უნდა ეხარა თავისი მონაგარის სიცოცხლითა და მოდვაწეობით.

დაკრძალულია გორის კვერნაქის სასაფლაოზე. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მკერდზე დაყრილი ქართული მიწა.

აპრამიშვილი გიორგი

ვინც გიორგი აბრამიშვილს იცნობდა, შეუძლია მის შესახებ ისაუბროს რამდენიმე სიბრტყეში: კაცური კაცი (მოკვდავისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი ატრიბუტით), მეოჯახე, გულმხურვალე პატრიოტი, მსახიობი, რეჟისორი (ხელოვნების დამსახურაბული მოღვაწე) და ა.შ.

როცა ეს წიგნი დღის სინათლეს იხილავს, ბატონი გიორგი უკვე 90 წლის იქნება. სიცოცხლის 75 წლიდან, 50 წელზე მეტი ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინებისა და პოპულარიზაციის სამსხვერპლოზე მიიტანა. ითამაშა ათეულობით დამამსხსოვრებელი როლი და შექმნა სამოცდაათამდე რეჟისორული ნამუშევარი საქართველოს თითქმის ყველა თეატრში.

ადსანიშნავია ის გარემოება, რომ გიორგი აბრამიშვილს, როგორც მსახიობს და რეჟისორს პროფესიული მოღვაწეობის დაწყება მოუწია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წლებში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა იყო დანგრეული, ოჯახების დიდი

ნაწილი სამგლოვიარო ტრაურში იყო გახვეული, როცა ლუკმაპურის შოვნა იყო პირველი საზრუნავი რამ, თუმცა მოსახლეობის ფართო მასებს, სწორედ რომ ამ პერიოდში, სჭირდებოდა სულიერი საკვები, გამხნევება და სასიკეთო მომავლის რწმენის განმტკიცება.

საჭირო იყო გაზეთ-ჟურნალები, წიგნები, კინო, მუსიკა, სპორტი და რადათქმაუნდა თეატრი — ხელოვნების ეს უმშვენიერესი დარგი, რომელიც ტელევიზიის დღევანდელ ეპოქაშიც კი არ კარგას აქტუალობას.

გიორგი აბრამიშვილი დაიბადა 1917 წელს გორის მაზრის ქ. ბორჯომში, აქვე დაამთავრა საშ. სკოლა: ქ. თბილისის თეატრალური სტუდიის (შემდგომში ინსტიტუტის) დამთავრების შემდეგ მსახიობად მიიწვიეს რუსთაველის სახელობის თეატრში. 1948 წელს ამთავრებს მოსკოვის თეატრალურ ინსტიტუტთან არსებულ რეჟისორთა დახელოვნების კურსებს და იწყებს აქტიურ რეჟისორულ საქმიანობას.

თელაველ მაყურებელს, შეიძლება ითქვას რომ გაუმართლა, როდესაც თეატრის დირექტორად და მთავარ რეჟისორად დაიგულეს გიორგი აბრამიშვილი. ფიქრობ, გარკვეულწილად, ბატონ გიორგისაც გაუდიმა ბედმა, რომ ერეპლე მეფისძროინდელი თეატრალური დასის ტრადიციებზე აღორძინებულ დრამატულ თეატრს არ აკლდა მაყურებელი (თელავში მართლაც უყვართ თეატრი — ავტ.).

ამ სტრიქონების ავტორი მოწმეა იმ მოვლენებისა, როდესაც თელავის თეატრის სპექტაკლებზე (1949-1951 წლ.) წარმოუდგენლად ძნელი იყო ბილეთის შეძენა. როგორც ჩანს რეჟისორმა და მსახიობებმა, ქრისტიან მხრივ, და მაყურებელმა მეორეს მხრივ, ერთმანეთს გაუგეს და იდგა თელავში გიორგი აბრამიშვილისებური თეატრალური ზეიმი. იმ წლებში, განსაკუთრებული



წარმატებით სარგებლობდა „გაყრა“, „არშინ მალ ალანი“, „ბაში აჩუკი“ და სხვა.

გორელებისათვის თბილადმოსაგონარი პერიოდი გახლავთ 1952-1976 წლები, როდესაც, ლამაზად რომ იტყვიან ხოლმე, თეატრალურ აღლუმს მართავდა ბატონი გოგი. აკი, მადლიერმა საზოგადოებამ საზეიმო ვითარებაში გადაუხადა მას სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის საიუბილეო სადამო. ეს იყო 1964 წელს.

ძნელია ჩამოთვალო კველა ის როლი და კველა ის სპექტაკლი, რომლებიც ბრწყინავდნენ და მექსიერებაშია შემორჩენილი შედევრებად – მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ გოგი აბრამიშვილის სახით ქართულ თეატრალურ საზოგადოებას პყავდა უაღრესად ნიჭიერი, ეროვნული და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული ხელოვანი, რომელმაც წარუშლელი სასიკეთო კვალი დატოვა ქართული თეატრის უმდიდრეს ისტორიაში.

გიორგი აბრამიშვილის მთელი მოღვაწეობიდან ჩანს, რომ იგი, მაინცდამანიც დედაქალაქში მუშაობისაკენ არ იღტვილა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იგი იყო გულითა და სულით ეროვნული და როგორც ჩანს, მას უფრო მეტად იზიდავდა პერიფერიული თეატრების ბედი, იქ ეგულებოდა არანაკლებ ნიჭიერი კოლექტივები, რომლებიც მოკლებული იყვნენ დედაქალაქურ კომფორტს და რომლებსაც ესაჭიროებოდათ ჰეშმარიტი რეჟისორისა და საქართველოზე უზომოდ შეკვარებული კაცის მზრუნველი ხელი.

ბორჯომის, თელავის, მესხეთის, გორის, ცხინვალის, ზუგდიდის, ბათუმის, ფოთის, ოზურგეთის (ყოფ. მახარაძე) ქალაქების ხანდაზმული მაყურებელი და თეატრის მუშაკები დღესაც სიამოვნებით იხსენებენ გიორგი აბრამიშვილისეულ წლებს. მათ სიცოცხლის ბოლომდე ემასხოვებათ გოგის მიერ მონიჭებული თეატრალური ხილი.

გაზეთი „გორის მოამბე“ 1996 წლის 4 ოქტომბერი: „...დიახ, ამ დადგმაშიც არის გოგი აბრამიშვილის გული და გონება; ამ დადგმაშიც ვხედავთ ნიჭიერ შემოქმედს, ბრწყინვალე ოსტატს და დიდ ფსიქოლოგს“. და კიდევ: „...გ. აბრამიშვილის რეჟისორით წარმოდგენილმა „თელორეს“ პრემიერამ მაყურებელთა უსაზღვრო მოწონება და კმაყოფილება გამოიწვია...“ („გორის მოამბე“, 1997 წ. 14 ნოემბერი) „...კოველთვის ახლის მაძიებელი, სცენის თვითონეულ წვრილმანში ჩამწვდომი, მსახიობთა მე-

გობარი“...

ეს სიტყვები ეკუთვნის გორელთათვის საყვარელ პიროვნებას, აწგარდაცვლილ ბ. გოცირიძეს.

შესანიშნავი ოჯახის პატრონი გახლდათ გიორგი აბრამიშვილი. მეუღლე ცირა და ორი ვაჟიშვილი – გოცი (ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სხვადასხვა დროს წარმოებების დირექტორი) და სოსო (რუსთაველის თეატრის მსახიობი, მონაწილეობდა კინოფილმებშიც).

გოგი აბრამიშვილი გარდაიცვალა 1992 წლის მარტში. ორ წელზე თდნავ მეტი იცოცხლა, გოგის სიკვდილის შემდეგ, ქალბატონმა ცირამ...

ასე დამთავრდა წარმატებული მსახიობისა და უნიჭიერესი თეატრალური რეჟისორის, სრულიად საქართველოსათვის საყვარელი ადამიანის არცოუ გარდებით მოფენილი და უფრო მეტად კი სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების გზა.

მთელი გორი აცილებდა მას კვერნაქის სამუდამო სასუფელისკენ მიმავალ მრავალჭირნახულ გზაზე.

ქ. გორის მთავარი გამზირის მე-18 საცხოვრებელი ბინის დასავლეთ კედელს ამშვენებს გიორგი აბრამიშვილის მემორიალური დაფა – უკადაგების უტექარი სიმბოლო.

ადეიშვილი რომანი



საინტერესო ტრადიცია აქვთ ხილების მშენებელ პროფესიონალ ინჟინრებს. ახალი ხილის ექსპლუატაციაში მიღებისა და საზეიმო გახსნის (ლენტის გაჭრის) ცერემონიალის დროს,

ხიდის ქვეშ, სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე, აყენებენ მშენებლებს – პირველ რიგში პროექტის ავტორს და მშენებლობის ხელმძღვანელს. ხიდზე კი შეაყენებენ სამშენებლო მასალებით (აგური, ცემენტი, რკინა, ქვიშა, ბეტონი და სხვ) დატვირთულ მანქანებს, რაც შეიძლება მეტს. წარმოიდგინეთ ხიდქვეშ მდგომთა შინაგანი განცდები. ამ დროს, ალბად შიშით უნდა გაკანკალებდეს, თუ შეცდომები გაქვს დაშვებული ან პროექტირებაში, ან მშენებლობის პროცესში, ან მთლად უარესი – თუ მითვისებული გაქვს ცემენტი, არმატურის რკინა და ა.შ.

რომან ადეიშვილს არასოდეს უგრძენია შიშით თავის მიერ აშენებული ხიდის ქვეშ დგომისას. ხიდი კი ბევრი აქვს აშენებული და აღდგენილი როგორც გორში, ისე მთელ საქართველოში. მისი უშუალო მონაწილეობით აშენდა გორში ეწ. ახალი ხიდი, რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი, გაფართოვდა ხიდი ლიახვზე, აიგო ხიდი მდ. მეჯუდაზე, ხიდი მდ. რიონზე (სამტრედია-საჯევაოს ტრასაზე), აფხაზეთში აკარმარას ხიდი, თბილისში ბართაშვილის ხიდი, ბორჯომში ეწ. სილამაზის ხიდი, ტყიბულში, ზესტაფონში და ა.შ.

რომან ივანეს ძე ადეიშვილი დაიბადა 1927 წლის 20 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ უშმურში, მოსამსახურეთა ოჯახში. დედა, ეკატერინე ფარცხალაძე მუშაობდა უშმურის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მამა, ივანე ადეიშვილიც, პენსიაში გასვლამდე, ასევე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბატონი რომანი არ გაჰყეა მშობლების პროფესიას. მას სულ სხვა პროფესია აინტერესებდა და აკი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ხიდების მშენებელი ინჟინერის დიპლომით მოევლინა გორში არსებულ სამშენებლო ორგანიზაციის „ხიდშენს“. სადაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობში იმუშავა სხვადასვა თანამდებობაზე (რიგითი ინჟინერი, განყოფილების გამგე, სამუშაოთა მწარმოებელი, უბნის უფროსი და სხვ).

ბატონი რომანი მუშაობაში და ყოველდღიურ საყოფაცხოვო პირობებში, გახლდათ დაფიქრებული, დინჯი, შორსმჭვრებული. ყოველი მისი ნაბიჯი იყო კარგად აწონილდაწონილი და გათვლილი. მისი მეგობრები და კოლეგები სშირად ამბობდნენ: „რომანი ხიდების მშენებელი რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად მეცნიერ-მკვლევარი იქნებოდა.“

მეცნიერი და მკვლევარი მათ ჰყავდა ბატონ რომანს. დავით ადეიშვილი, რომელმაც ისწავლა თბილისისა და მოსკოვის (ლომონოსოვის სახელობის) უნივერსიტეტში. იყო მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი. მიხიჭებული პქონდა მეცნიერებათა ღოქტორის ხარისხი. მუშაობდა მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

ბატონ რომანს არ ჰქონია ისეთი სამეცნიერო ასპარეზი, როგორც მის მმას, დავითს, მაგრამ შემოქმედებითმა ნიჭმა და გენეტიკურმა ღირსებებმა თავისი სიტყვა მაინც თქვა, თუნდაც პრაქტიკული მშენებლობის სფეროში. რომან ადეიშვილი იყო მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორი. მიღებული პქონდა სპეციალური დიპლომები, სიგლები და პრემიები.

ღირსეულმა ადამიანმა და ინჟინერმა ასევე ღირსეული და ლამაზი ოჯახი შექმნა – მეუღლე, ქალბატონი იზოლდა (პედაგოგი) და შვილები – მიხეილი (გმირულად დაიღუპა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი ოპერაციების დროს) და ეკა (ამჟამად ქ. გორის მე-7 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლი).

ბატონი რომან ადეიშვილი, სიცოცხლის ბოლო წლებში (1973-75) მუშაობდა გორის №9 სამშენებლო ტრესტში. გარდაიცვალა 1975 წლის 21 ნოემბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

რომანის აშენებულ ხიდებზე უშიშრად დააბიჯებს მომავალი თაობა.

არშაპუნი მათე

როდესაც მათე არშაპუნის ხსოვნის შესახებ წერილის დაწერა ჩავითქმირეთ, გადაწყდა მიგვემართა წარსულში ფრიად წარმატებული პედაგოგის ყოფილი მოსწავლის, ამჟამად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტისათვის, ქალბატონ ლიანა ბახტაძისათვის. აი, რა გვიამბო მან:

„მაშინ მერგე კლასის მოსწავლე ვიყავი. ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი საგანი ისტორია გახლდათ. 1951 წლამდე ისტორიას სამი პედაგოგი გვასწავლიდა და ახლა კი ახალი მას-



წავლებლის შემოსვლას მოუთმენლად კელოდით... გაიღო კარი და საკლასო ოთახში შემოვიდა მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი, ჭადარათმიანი, სათვალიანი მამაკაცი, რუკით ხელში. „გამარჯობა ყმაწვილებო“ – ასე მოგვმართა. ასე არავის და არასძროს მოუმართავს ჩვენთვის, რადაც უცნაური და საამო შევიგრძენით, გულს სალბუნად დაედო მის მიერ წარმოთქმული სიტყვები... მე-გობრულად მოგვმართა – დღეიდან მე წავიყვან საშუალო საუკუნეების, ხოლო შემდეგ ახალი ისტორიის კურსს თქვენს კლასში და ვისურვებ ნაყოფიერი და საინტერესო იყოს ჩვენი ერთობლივი მუშაობა. ამ სიტყვების შემდეგ გაგვეცნო. ნეტა ვის პექია კიდევ ჩვენს დროში მათე – გავიფიქრე და ინტერესით დავაკვირდი მის საოცრად ინტელექტუალურ სახეს და სათვალის მინებიდან გამომზირალ უსაზღვროდ ჭკვიან თვალებს.

მათე მასწავლებელმა ერთბაშად დაიპყრო ჩვენი გულები თხრობის მანერით, წენარი, დამამშვიდებელი ხმით, მოვლენების სიღრმისეული გაშუქებით და ლოგიკურობით.

მოსწავლეები მოხიბლულები ვიყავით მისი გაკვეთილდებით და არ გვსურდა დამთავრების ზარი დარეკილიყო. წიგნებში იმის მეათედსაც კი ვერ ვპოულობდით, რასაც მათე მასწავლებელი გაკვეთილზე გვასწავლიდა და გვიყვებოდა“. დაბოლოს ქალბატონი ლიანა ასე ამთავრებს თავის მონაცოლს: „მათე მასწავლებელი მარად დარჩა ჩემს შემეცნებაში, როგორც უაღრესად განსწავლული, ნაკითხი, ერუდირებული, პატიოსანი, კეთილსინდისიერი, დიდი პასუხისმგებლობის მქონე, მოკრძალებული, მეცნიერულად მოაზროვნე და ამავდროულად საოცრად თაგმდაბალი ადამიანი და პედაგოგი. მეამაყება, რომ ჩემი საყვარელი მასწავლებელი და მე, მისი სიცოცხლის ბოლომდე, დიდი მეგობრები ვიყავით“.

მათე წევალობას ძე არშაკუნი დაიბადა 1910 წლის 10 იანვარს ქ. გორში. მამა ადრე გარდაეცვალა და ისე მოხდა, რომ მისი აღზრდა მისმა ბიძამ გიორგიმ და ბიცოლა სოფიომ აიდეს თავის თავზე, რომელთაც საქუთარი შვილი არ ჰყავდათ. სამწუხაროდ, ახალი აღმზრდელებიც მალე გამოეცალნენ 19 წლის ჭაბუკს და იგი დარჩა სიძნელეებით სავსე, მკაცრი ცხოვრების პირის პირი.

მათე არშაკუნმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მოიპოვა ისტორიკოსის დიპლომი. მათე გახლდათ ინსტიტუტის პირველი გამოშვების ერთერთი წარჩინებული პროფესიონალი. ამით არ დაოკებულა ბატონი მათეს ლტოლვა განათლებისადმი და მომდევნო წლებში წარჩინებით ისწავლა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

უნიკალური და ფართო ცოდნით შეიირალებულმა მათე არშაკუნმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი სხვადასხვა წლებში მუშაობდა სოფელ მეჯვრისხევის, სოფელ ტინისხიდის, ქ. გორის მეორე და მესამე საშუალო სკოლებში ისტორიის პედაგოგიად და დირექტორად.

უამრავ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ცხოვრებაში, ასწავლა სამშობლოს სიყვარული, ჩაუნერგა სიკეთისა და უანგარო ქველმოქმედებისადმი მისწრავება, დაარწმუნა განათლებულობის აუცილებლობაში და განუმტკიცა უკეთესი მომავლის რწმენა.

პედაგოგიური ტექნიკუმის სტუდენტმა ნანული ბაქრაძემ, სწავლის პერიოდში, ლექსი მიუძღვნა ბატონ მათეს:

„ოქვენი ზრუნვა და ამაგი,
გზას გვინათებდეს მარადის,
ვიდრე სწავლაა საჭირო,
სიცოცხლე გქონდეთ მანამდის.
მართალი გულით, ჭადარით,
კვლავაც გეზარდოთ ნორჩები,
მაშინაც ჩვენზე გეფიქროთ,
როცა თქვენზე ფიქრს მორჩებით“.

მუსიკალური ნიჭითაც ყოვილა დაჯილდოებული ბატონი მათე. უკრავდა მანდოლინაზე და მღეროდა საამო ხმით. მეუღლეც თურმე მხარს უბამდა გიტარის სიმებით და როგორც

ახლობლები ისენებენ, ასეთი დუეტის მოსმენა ყოველთვის დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მეგობარ-ახლობელთა წრეს.

1970 წელს დვაწლმოსილი და ვალმოხდილი მათე არშაკუნი პენსიაზე გავიდა და მცირედი შესვენების უფლება მისცა თავის თავს მუდამ შემოქმედებითი შრომის ფერხულში მდგომა, დაუდალავმა კაცმა.

სამწუხაოოდ, მას აღარ ეწერა მოღვაწეობის აქტიურ ფრონტზე დაბრუნება. 71 წლის ასაკში (1981 წლის 2 ივლისს) გარდაიცვალა ბატონი მათე არშაკუნი. იგი დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. საიმედოდ და სანუგეშოდ კი დაგვიტოვა ორი შვილი: გურამი (ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი), დალი (ინგლექტური სფეროს დვაწლმოსილი მუშაკი) და შვილი შვილი მარიამი.

სამარადისო ყოფილიყოს ამაგდარი კაცის, მათე არშაკუნის სსოვნა.

პიჩინაშვილი ზაური



მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქაროში სწრაფი ტემპებით დაიწყო გიგანტი სამრეწველო ობიექტის, ბამბეულის კომბინატის შშენებლობა.

რას წამოიდგენდა მაშინ სულ ათიოდე წლის ზაური, თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ იგი გახდებოდა მრავალათა-სიანი კოლექტივის მმართველი ბირთვის ერთ-ერთი ლიდერი.

ზაურ ზაქარიას ძე ბიჩინაშვილი დაიბადა 1937 წლის 20 მარტს მოსამსახურის ოჯახში. დამთავრა ქ. გორის მე-6 სა-

შუალო სკოლა და დაიწყო მუშაობა ბამბეულის კომბინატის საგრავიურო სამქროში მუშად.

ხელმძღვანელობას შეუმნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა ზაურის შრომისმოყვარეობა, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და პროფესიის ათვისებისადმი ლტოლვა. ხელმძღვანელი რა მასში მომავალ სპეციალისტს, გადაწყდა გაეწიათ რეკომენდაცია და უმაღლესი განათლების მისაღებად ზაურ ბიჩინაშვილი გაიგზავნა მაშინდელ ლენინგრადში. ეს იყო 1960 წელს.

ზაურიმ დამთავრა კიროვის სახელობის მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის (გამომყვანი საამქროს) ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

დიპლომირებული სპეციალისტი დაუბრუნდა თავის მშობლიურ კომბინატს და დაიწყო შრომითი მოღვაწეობის ის დიდი გზა, რომელიც ზაურ ბიჩინაშვილს მიიყვანს, როგორც შრომითი კოლექტივის ისე საზოგადოების მხრიდან მისი პიროვნებისადმი დიდ სიყვარულსა და აღიარებამდე.

შესაბამისმა განათლებამ და დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ზაურ ბიჩინაშვილი ჩამოაყალიბა თვალსაჩინო სპეციალისტად ქსოვილების მოხატვისა და ფერთა შერჩევის სფეროში. ზაურის უშუალო ხელმძღვანელობით და პირადი, აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნებოდა ისეთი ქსოვილები, როგორიც იყო: „პიკე“, „მზიური“, „დარიალი“, „ვარძია“, და სხვა.

ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობის პარალელურად ზაურ ბიჩინაშვილმა დაამთავრა კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ამჯერად საწარმოო პროცესების ეკონომიკისა და ორგანიზაციის განხილვით. ზაურ ბიჩინაშვილი იყო მრავალი გამოგონების ავტორი, რომელთა პრაქტიკულმა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მოუტანა კომბინატს.

40 წელზე მეტი იმუშავა ბატონმა ზაურიმ ბამბეულის ქსოვილების კომბინატში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის გენერალური დირექტორის მოადგილედ.

ზაურის მინიჭებული პქონდა საკავშირო რაციონალიზატორის საპატიო წოდება. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, პრემია, პრიზი თუ საპატიო სიგელი და საერთაშორისო გამოფენების დიპლომები. სიცოცხლის ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა


ქომბინატის გამომყვან ფაბრიკას.

ზაურ ბიჩინაშვილი მიმზიდველი გარეგნობის ვაჟკაცი გახდათ; მადალი, მხარეჭეჭიანი, ფიზიკურად ძლიერი. საოცარი ტემპრის ხმა ჰქონდა. დაბალი, რკინანარევი ბარიტონით საუბრობდა ოდნავ აჩქარებით. არაჩვეულებრივი მოლხენა იცოდა ქართულ ტრადიციულ სუფრასთან.

ლამაზი ოჯახი დაუტოვა ბატონმა ზაურიმ ჩვენს ქვეყნას: მეუღლე, ულამაზეხი ქალბატონი თინა მახარობლიდე (კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკოლოგი), ვაჟიშვილები ზურაბი და ნიკოლოზი – ორივე კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკოლოგი, დედის კოლეგები.

ზაურ ბიჩინაშვილი გარდაიცვალა 2007 წლის 16 აპრილს 70 წლის ასაკში. დაკრძალულია ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ბაბუნია ბურამი



ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს უთმობს თავის საყვარელ საქმეს, ანუ იმ სფეროს, რომლისკენაც თავაწყვეტილი ილტვოდა ბავშვობიდან და რომელიც დვთის წყალობით, ან გენების ყივილით, წარმოადგენდა მის უპირველეს და სათაყვანებელ მოწოდებას.

ასეთი პიროვნება გახლდათ გურამ გაბუნია, რომლისთვისაც ფეხბურთი ისეთივე რამ იყო, როგორც გალაქტიონ ტაბიესათვის პოეზია. გურამ გაბუნია ფეხბურთში იყო ჩაღრმავებული, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდე, ბავშვობი-

დან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

გურამ ვარლამის ძე გაბუნია დაიბადა დაბა ხონში, მოსამსახურის ოჯახში 1929 წლის 25 დეკემბერს. მისი მამა ვარლამი ყოფილი ეკონომისტი, დაუმთავრებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი მოხვედრილა რეპრესირებულთა სიაში და გადაუსახლებით ციმბირში. ოჯახის სიმძიმე დაძრვა ვარლამის მეუღლეს, ქალბატონ მარგალიტა ვასილის ასულ ბახტაძეს, რომელსაც ოთხი შვილი უნდა გამოეკვება და დაეფრთიანებინა. მას მხარში ამოუდგნენ კეთილი ადამიანები და შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქეს ცხოვრება. ბატონი გურამ გაბუნია და მისი მომდევნო ძმა იზრდებოდნენ ბებიასა და ბაბუნასთან.

საშუალო სკოლა, გურამ გაბუნიამ, დაამთავრა ხონში. გაკვეთილების მომზადების შემდეგ იგი, სხვა ბავშვებთან ერთად, თითქმის ყოველდღე და თითქმის ყოველნაირ ამინდში, თამაშობდა ბურთს რიონისპირა ჭალებში. იგი ვერ სძლებდა უბურთოდ, შეიყვარა და შეისისხლებორცა. ბურთი იყო მისი საჭმელ-სასმელიც და განუყრელი მეგობარიც.

ბავშვობიდანვე ეზიარა ურთულეს ტექნიკურ მოძრაობებს და დარტყმებს, როგორც ლამაზად იტყვიან ხოლმე – ბურთს ელაპარაკებოდა შენობით. იმავდროულდალ გურამი ყალიბდებოდა ათლეტურ პიროვნებად. ვისაც ბატონი გურამი ახსოვს დამერწმუნება, რომ გარეგნული აღნაგობით გურამი იყო გამორჩეული – მაღალი, მხარეჭეჭიანი მკერდამოზიდული და კისერმოლერებული, ძლიერი დაკუნთული ფეხებით. ლამაზი სანახავი იყო გორის ქუჩებში მოსიარულე ახალგაზრდა, რომელიც ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო სწავლის გასაგრძელებლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტზე. მალე იგი ჩაირიცხა გორის ფეხბურთელთა გუნდში („დილა“) და წარმატებით ითამაშა მის შემადგენლობაში 1961 წლამდე. იყო გუნდის უცვლელი კაპიტანი.

32 წლის იყო გურამ გაბუნია, როცა ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, მაგრამ ფეხბურთის სამყაროს იგი როგორ ჩამოშორდებოდა, მასზე ფანატიკურად შეყვარებული და მწვრთნელობის პროფესიას შეეჭიდა. ბევრი იშრომა, ბევრი ოფლი დადგარა, ბევრიც ინერვიულა და გათენდა ის ბედნისა და სპორტის ფაკულტეტზე. მალე იგი ჩაირიცხა გორის ფეხბურთელთა გუნდში („დილა“) და წარმატებით ითამაშა მის შემადგენლობაში 1961 წლამდე. იყო გუნდის უცვლელი კაპიტანი.

იერი დღეც, როდესაც გურამ გაბუნიას 1972 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება.

გურამ გაბუნია, წლების განმავლობაში მხარში ედგა (მწვრთნელის რაგში) გორის „დილას“ უფროს მწვრთნებებს. სხვადასხვა წლებში: ნ.ჩხატარაშვილს, დ.რამიშვილს, ა.კოტრიკაძეს, გ.ნორაკიძეს და სხვებს, რომელთაგანაც ბევრი რამ ისტავლა და გაითავისა.

გურამ გაბუნიამ გარკვეული დროის გავნმავლობაში იმუშავა გორის სპორტგომიტეტში ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელად. ამ სკოლაში და შემდეგ უკვე ფეხბურთის გუნდ „დილას“ მწვრთნელობის პერიოდში ბატონმა გურამმა აღმოაჩინა და გზა გაუკაფა ფეხბურთის მწვერვალებისაკენ მრავალ ახალგაზრდას, რომელიც შემდგომში თამაშობდნენ საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა გუნდებში (თ. ბურჯანაძე, ვგლავაცკი, რ. ნასყიდაშვილი, ჯ. მარლიშვილი, რ. აბრამიშვილი, თ. ბუზალაძე, კ. დალაქიშვილი და მრავალი სხვა).

აღსანიშნავია, რომ გურამ გაბუნიას ფეხბურთის თამაშის დროს და მწვრთნელობის პირობებში ჰქონდა მრავალი მიწვევა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, მაგრამ მას არ უდალატია გორისთვის და „დილასათვის“.

გურამ გაბუნიასა და ფეხბურთის სხვა მესვეურების სახელთანაა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული გორის რაიონში ფეხბურთელთა მეორე გუნდის „ქართლის“ და ვაჟათა საფეხბურთო სკოლის შექმნა. ბატონი გურამი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო გორის მთავარი გუნდის „დილას“ სისტემატური შევსება ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებით და ისიც თავის კოლეგებთან ერთად არაფერს იშურებდა საამისოდ. საფეხბურთო სკოლის პირველი დირექტორიც თავად იყო.

აღნიშნული სკოლა დღესაც ფუნქციონირებს.

გურამ გაბუნიას აღზრდილები სიამაყით აღნიშნავენ, რომ მარტო ფეხბურთის თამაშს კი არ გვასწავლიდათ, არამედ მეგობრობას, სამშობლოს სიყვარულს, პატიოსნებას, უფროსების პატივისცემას და სხვ. თავად გურამი უაღრესად პატიოსანი ადამიანი გახლდათ და რაც მთავარია – ფეხბურთზე თავდაკიწყებამდე შექვარებული. ხუმრობით უთქვამთ ვიწრო წრეში

– გურამის ფეხბურთი ოჯახზე მეტად უყვარსო.

გურამის აღზრდილები იმასაც ამბობენ, რომ შვილებივით ვუყვარდით და თავს გვევლებოდათ. ოჯახის წევრები იმასაც იგონებენ, რომ სახლიდან მიჰქონდათ კომპოტები და თუ სხვა რამ იყო – ამბობდა, ბიჭები ბევრ ენერგიას ხარჯავენ და ცოტას წავეხმარებიო.

ისხენებენ კიდევ ერთ ეპიზოდს. მისაღებ გამოცდებს აბარებენ ინსტიტუტში მისი ფეხბურთელები და მათთან ერთად მისი შვილიშვილიც. მისულა გურამი ამბის გასაგებად და მიაშტერდა ტელევიზორს. შვილიშვილზე არაფერი უთქვამს და თავის ფეხბურთელებით კი უქმაყოფილო დარჩენილა – „პირდაღებულები სხედან, ალბათ შპარგალებს ელოდებიანო“ და წასულა სტადიონისკენ.

ბატონი გურამი ემოციური პიროვნებაც გახლდათ. სულ მცირე უზუსტობაზე და ნაკლოვანებაზეც ნერვიულობდა, ყველაფერი ახლოს მიჰქონდა გულთან და წარუმატებლობას (ასეთიც იყო) მტკიცნეულად განიცდიდა.


ბატონ გურამს ჰყავდა საყვარელი მწერლები (მ. მაჭავარიანი, ა. კალანდაძე, კ-გამსახურდია, გ. ტაბიძე, მ. ლებანიძე და მრავალი სხვა), რომელთა ნაწარმოებებსაც სისტემატურად კითხულობდა და მრავალი ლექსიც იცოდა ზეპირად. და კიდევ ერთი, როგორც ჭეშმარიტ ვაჟაცაც, ძალიან უყვარდა ნადირობა და ყოველთვის ჰყავდა რჩეული მონადირე ძაღლი.

გურამ გაბუნიას დგაწლი სათანადოდ დააფასა საზოგადოებამ. 2000 წელს იგი დაჯილდოვდა დირსების ორდენით, რომელიც მისი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო შეხვედრაზე, თავად მაშინდელმა პრეზიდენტმა, ე. შევარდნაძემ გადასცა, რესტორან „ინტერისტი“ კი მისმა აღზრდილმა ფეხბურთელებმა მრავალრიცხოვან სტუმარს უმასპინძლებს.

ბატონ გურამ გაბუნიას ამ დრომდე უკვე ერთხელ ჰქონდა პიპერტონული შეტევა და ინსულტი, მაგრამ გაუძლო და გადაიტანა გამოპრმედილმა ორგანიზმა.

მეორედ კი (2002 წლის 31 აგვისტოს) შეტევა უფრო ძლიერი და საბედისწერო აღმოჩნდა. სიმბოლურია, რომ საწვრთნელ ვარჯიშზე მიმავალი წაიქცა და აღესრულა სტადიონის კედლებთან, სადაც თითქმის 45 წლის განმავლობაში ძგერდა მისი ვაჟაცაცური გული.

გერმანიშვილი ასლანი



ასლანი (მარცხნივ)

ფრიად სიმბოლური და ნიშანდობლივი გახლავთ ის გარემოება და ის ფაქტი, რომ ასლან გერმანიშვილის მოღვაწეობა განსაკუთრებით წარმატებული იყო ქართველი ვაჟებისა და რაინდის მცნებასთან გაიგივებულ ისეთ ფენომენში, როგორიცაა ჭიდაობა, ცხენოსნობა და სამხედრო ხელოვნება.

ცხენისადმი სიყვარული ეპიზოდურად ვლინდებოდა ასლანის პიროვნებაში, მსოლოდ იმის გამო, რომ ტექნიკურმა პროგრესმა თანდათან გამოდევნა ეს უჭივიანესი ცხოველი აქტიური ცხოვრებიდან და ტრადიციული ქართული „ისინდი“, „მარულა“ და სხვა შეჯიბრებები თუ სანახაობები ნაკლებად პოპულარული გახდა.

რაც შეეხება ჭიდაობას, აქ ასლანმა ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს – 18 წლის ასაკში მოიპოვა სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. სამხედრო მეცნიერება და მოღვაწეობა კი იყო ის სფერო, სადაც ასლან გერმანიშვილმა უმაღლეს დონეზე წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები და მოკლე ხანში ჩამოყალიბდა მაღალი რანგის სპეციალისტად.

ასლან გერმანიშვილი დაიბადა ქ. გორის №1 საშუალო სკოლა და ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში. აუსრულდა ბავშვობის ოცნება და ასლანმა 1957 წელს მოირგო ლეიტენანტის სამხედრო ფორმა. როგორც წარჩინებული სამხედრო მოსამსახურე (ქ. ლენინგრადის სამხედრო ნაწილი), იგი გააგზავნეს ქ. ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, იმ დროისთვის პრიფილეგირებული სამხედრო ფიზკულტურის პროფესიის დასაუფლებლად.

ლი, გამორჩეული დედა და ერთგული მეუღლე.

ასლან გერმანიშვილმა 1954 წელს დაამთავრა ქ. გორის №1 საშუალო სკოლა და ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში. აუსრულდა ბავშვობის ოცნება და ასლანმა 1957 წელს მოირგო ლეიტენანტის სამხედრო ფორმა. როგორც წარჩინებული სამხედრო მოსამსახურე (ქ. ლენინგრადის სამხედრო ნაწილი), იგი გააგზავნეს ქ. ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, იმ დროისთვის პრიფილეგირებული სამხედრო ფიზკულტურის პროფესიის დასაუფლებლად.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ასლან გერმანიშვილის ცხოვრებაში დაიწყო ახალი (რთული და ხანგრძლივი) ეტაპი; ეტაპი, როდესაც მოგეთხოვება მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება და შენი წვლილის შეტანა საქვეყნო საქმეში. და ასლან გერმანიშვილიც შეუდგა მძიმე და საპატიო ტვირთის ზიდვას და ზიდა იგი პატიოსნად, ერთგულად და უანგაროდ თოთქმის 40 წლის განმავლობაში.

სად აღარ გადაისროლა ცხოვრებამ სამუშაოდ ასლან გერმანიშვილი. მან თავისი მოღვაწეობის სასიკეთო კვალი დატოვა ლოვების, გორის, ბერდიჩევის, კიევის, ახალქალაქის, ქუთაისის, ახალციხისა და სხვა სამხედრო ნაწილებში. იცვლებოდა ქალაქები და ნაწილები, გარბოდა წლები და იზრდებოდა ვარსკლავების რაოდენობა ასლანის სამხრეებზე. მან გაიარა ვაჟების, თავდადების, შრომისა და დიდი განცდების რთული გზა ათმეთაურის თანამდებობიდან პოლკის მეთაურამდე და რიგითოდან პოლკოვნიკის მაღალ წოდებამდე.

გარეგნულად ბატონი ასლანი მოგაგონებდათ ღრმადგასულ ძლიერ ფესვებზე მდგარ მუხას – მხარბეჭიანი, მკერდაზიდული, დაკუნთული მკლავებით და რაც მეტად მიმზიდველი და მომხიბვლელი გახლდათ – მუდამ მომდიმარე თვალებით. იყო საოცრად ენერგიული, როგორც საუბრისას ისე მოქმედებაში. სწრაფად იღებდა გადაწყვეტილებას და ასევე სწრაფად მიღიოდა მიზნისაკენ.

მასპინძლობის ქართული ფენომენი იყო ბატონი ასლანის ერთგვარი პობი. ყველგან, ყოველთვის და ყველანაირ ვითარების გახლდათ ბრწყინვალე დიასახლისი, სტუმრების მოყვარული გახლდათ ბრწყინვალე დიასახლისი, სტუმრების მოყვარუ-

ბაში ცდილობდა (და აღწევდა კიდევ) სხვისთვის დაექმრო და პირველი გამასპინძლებოდა გორში ჩამოსულ სტუმრებს. და არამარტო გორში, არამედ ქ. თელავშიც კი, სადაც იგი მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლო წლებში.

1974 წლიდან ასლან გერმანიშვილი დაინიშნა ქ. თელავის სამხედრო კომისარად. იქვე, ინსტიტუტში ასლანის ინიციატივით ჩამოყალიბდა ამიერკავკასიაში პირველი და ერთადერთი სამხედრო ფიზკულტურის კათედრა. აქვე იყო იგი კათედრის გამგე.

მალე შეიყვარეს თელაველებმა უანგარო, ვაჟაცური ბუნებისა და სიკეთით საგვე გულის პატრონი. ასლანიც სიკვარულით პასუხობდა თელაველებს. არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა, შეაყვარა და ასწავლა კაცობა, რაინდობა, პროფესია, მეცობრობა და ტრადიციული ქართული სუფრის გაძლიერება კი. ასეთი გამოქმა უყვარდა: „ეგ რა კაცია, ჭიქის დაჭერა არ იცის“-ო. ვინ იცის, რამდენ რამეს გულისხმობდა ბატონი ასლანი ამ რამდენიმე სიტყვის მიღმა.

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა ბედნიერება თავის თავზე განეცადა ასლანის მასპინძლობის სიამოგნება. შემთხვევით გაუგია, რომ მეგობრებთან ერთად მივდიოდი თელავში. თავისი ერთი მეგობარი რკინიგზის სადგურზე გაუმწესებია ასლანს, ერთი გურჯანიდან შემავალ გზატკეცილზე და ერთიც შეამთაში – ციკ გომბორის მხრიდან შემავალ გზაზე. ვიღაცას უთქამს – თვითმფრინავით რომ ჩამოვიდნენ (მაშინ თელავში დაფრინავდა სამგზავრო ე.წ. „კუკურუზნიკები“) და ასლანს ერთი კაციც აეროპორტში ჩაუსაფრებია – არავინ დამასწროს მასპინძლობათ.

აი, ასეთი კაცი გახლდათ ბატონი ასლან გერმანიშვილი.

ნაყოფიერი და ხანგრძლივი სამხედრო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ასლან გერმანიშვილს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები, საპატიო სიგელები და მრავალი მადლობა.

აღსანიშნავია, რომ ასლან გერმანიშვილის მიერ აღზრდილმა არაერთმა ახლაგაზრდამ გამოიჩინა თავი საქართველოს ტერორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

სულ 63 წლის იყო ბატონი ასლანი, როდესაც სამუშაო პოს-

ტზე გარდაიცვალა მოულოდნელად. იდგა 1999 წლის 13 მაისი – მისი დაბადების დღე. გარდაიცვალა და დატოვა უმშვენიერესი ოჯახი: მეუღლე – ქალბატონი ამალია ხაბელაშვილი. ვაჟიშვილი ზურაბი – თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგი. შვილიშვილი ასლანი – უნივერსიტეტის სტუდენტი.

ასლან გერმანიშვილი დაკრძალულია ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

გიორგაძე ანზორი

უცნაური, უძველესი და გარკვეულწილად საინტერესო ფენომენია თიკუნების (მეტსახელების) ინსტიტუტი. არავინ იცის, ვის, როდის ან რა ვითარებაში შეარქვეს მეტსახელი. თუმცა, ალბათ, სიმართლესთან ახლოს იქნება თუ ვიტყვით, რომ თიკუნის წარმოშობისა და საუკუნეების განმავლობაში ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების ტრადიციების საწყისები უნდა მოიძებნოს ხალხური სიბრძნის წიაღში.

თიკუნი ზოგჯერ გვარის უუძიდან მოდის, ზოგჯერ გამოხატავს ადამიანის გარეგნული იერის რაღაც ნიშანთვისებას, ზოგჯერ რაღაც ჩვევას ან აკვიატებულ სიტყვას და ა.შ.

საქართველოში თიკუნების სიმრავლით მაინც ქართლ-კახეთი გამოირჩევა. თიოქმის ყოველ მეოთხე კაცს (ქალებს იშვიათად არქმევენ) აქვს მეტსახელი.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ქ. გორში ხშირად ახსენებდნენ ხოლმე „ჭანჭურას ბიჭებს“. რატომ ეძახდნენ მათ „ჭანჭურას“, კარგად არავინ იცის. ერთი კი ცნობილია, რომ ამ ბიჭების მამას გიგუცას შეარქვა ხალხმა მეტსახელი „ჭანჭურა“ და მემკვიდრეობითაც გადაეცათ შთამომავლებს ტრადიციისამებრ.

გიგუცა გიორგაძისა და ეკა ციხი-



თათრიშვილის ოჯახში იზრდებოდა ერთი ქალიშვილი და ექვსი ვაჟიშვილი. ერთ-ერთი ვაჟიშვილის ხსოვნას ეძღვნება ეს მოკრძალებული მასალა.

ანზორ („ჭანჭურა“) გიგუცას ძე გიორგაძე (ანზორს თურმე სხვა მეტსახელებიც ჰქონია: „ნიკორა“, „დრუჟბა“ და სხვა) დაიბადა 1936 წელს მშრომელი კაცის (დურგალი) ოჯახში. დედა, ქალბატონი ეკატერინე გახლდათ შესანიშნავი დიასახლისი, შვილი შვილის დედა და მრავალი შვილიშვილის ბებია. ანზორისთან ერთად ოჯახში იზრდებოდნენ მისი და ევგენია და ძმები: შურა, გოგია, მირიანი, მიშა, გაიოზი.

ანზორ გიორგაძემ დამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა და ცოტა მოგვიანებით კი თბილისის სავაჭრო ტექნიკუმში.

ნიჭიერი და მონდომებული ყმაწვილი ყოფილი ანზორ („ჭანჭურა“) გიორგაძე. გამოირჩეოდა თურმე განსაკუთრებული პრაქტიკული გამჭრიახობით და ენერგიულობით.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა „გორგაჭრობის“ სისტემაში და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებში თავისი სპეციალობის შესაბამის თანამდებობებზე.

გადიოდა წლები შრომასა და ოჯახზე ზრუნვაში. ანზორის მხარში ედგა ენერგიული და გამრჯე მუედლე, ქალბატონი იზო სადაღაშვილი (ამჟამად პენსიონერი). მათ გაზარდეს სამი შვილი: შერიკა (ტრაგიკულად დაიღუპა ავტოვარიაში), დავითი (გააგრძელა მამის პროფესია) და ეთერი (ექიმი).

როგორც ახლობლები და ნაცხობები იხსენებენ, ანზორისა და იზოს ოჯახი იყო სტუმარობული, გამორჩეული შრომითა და ადამიანური სითბოთი. იმასაც ხაზს უსვამენ, რომ ანზორი, მიუხედავად დიდი შრომითი დატვირთვისა, ყოველთვის პოულობდა დროს საიმისოდ, რომ სათანადო უურადღება დაეთმო ყველასთვის და მაქსიმალურად ამოსდგომოდა მხარში მათ, ვისაც რაიმე დახმარება სჭირდებოდა. ამიტომ უუვარდა გორის საზოგადოებას ბატონი ანზორი, პატივს სცემდა მას და კეთილ სიტყვას არ იშურებდა მისი მისამართით.

ნადირობაც ძალიან ჰყავარებია ანზორ გიორგაძეს და არაერთი საინტერესო ამბავიც გადახდომია ტყე-ლრეში აზარტულად მოხეტიალე მოხადირეს.

ანზორ გიორგაძემ ერთ-ერთმა პირველმა გახსნა გორში ე.წ. საკომისიო მაღაზია (გასული საუკუნის 90-იანი წლების დაწესებისში).

ხალხი ბუზივით ეხვეოდა, მაშინ ჯერ კიდევ უცნაურ და

საინტერესო სიახლეს. მაღაზიას ბევრი მუშაორი ჰყავდა და ბევრი შურიანი თვალიც ბოლმით აკვირდებოდა ანზორის წარმატებულ საქმიანობას. კეთილისმსურველებიც ბევრი იყვნენ და ავისმდომელებიც. გამოიჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც სხვისი ნაამაგარისა და ნაოფლარის მითვისება ჩაიფიქრეს. ყაჩაღური თავდასხმისას გაწეული წინააღმდეგობის დროს დაიღუპა ანზორ გიორგაძე, კაცი მეურნე, მშრომელი, კარგი მეოჯახე და ყველასათვის საყვარელი მოქალაქე. ეს ტრაგედია თავს დაატყედა გიორგაძეების ოჯახს 1992 წელს.

მაშინ პირველი საკომისიო მაღაზიას გახსნა ანზორის ნოვატორულ ნიჭიერ მიუთითებს. იგი, როგორც ვაჭრობის დარგის სპეციალისტი, ჩანს, რომ კარგად გრძნობდა მსგავსი საქმიანობის პერსპექტივას. და კიდევ: სიახლის ძებნაში მოწადინებულს, საკუთარი სახლის სარდაფი დიდ აუზად გადაუკეთებია და თვეზე (სარეწაო) მოუმრავლებია.

მოუსვენარი შემოქმედი ყოფილა „ჭანჭურაანო ბიჭების“ ერთ-ერთი ბიჭი, ანზორ გიორგაძე. ყოფილა ახლა ასე ვამბობთ, რადგან 15 წლის წინ, გორის კვერნაქის სასაფლაოზე პპროგრამული სასუფეველი ყაჩაღური თავდასხმის უდანაშაულო მსხვერპლმა.

სიცოცხლე კი გრძელდება და დერთისგან გაგვალული გზით მიედინება. ამ გზას მიჰყვება ანზორ („ჭანჭურას ბიჭი“) გიორგაძის შთამომავლობა. დმერთმა მშვიდობით ატაროს.

გორიონის ბაზრატი

იგი ახლა 90 წლის იქნებოდა. კაცი მატიანე. ბევრი რამ იცოდა ბაგრატ გორიონიები მე-20 საუკუნის გორისა და მისი მოსახლეობის შესახებ. რას აღარ ნახავდით მის პირად საოჯახო არქივში: მე-20 საუკუნის დასაწყისში გამომავალ გაზეთებს თუ ჟურნალებს, თეატრალურ თუ საცირკო წარმოდგენების აფიშებს, საკონცერტო თუ სხვა საზეიმო წარმოდგენებზე დასასწრები ბილეთების ნიმუშებს, იმდროინდელი ლვაწლმოსილი მეცნიერების, მსახიობების, სპორტსმენების, ქველმომქმედების, სამხედრო პირების, აგრონომების თუ ტრაქტორისტების მოშავო-მოყავისფრო ფორმულარათებს და მრავალ სხვა საინტერესოს და მართლაც ისტორიულს. ჟურნალ-გაზეთებიდან ამონაწერებს ხომ ათეულობით აღბომი აქვს შევსებული.



გორელები ხშირად აკითხავდნენ ბატონ ბაგრატს სახლში, როცა საჭირო იყო ამათუიძ მოვლენის ან პიროვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება და ისიც უანგაროდ და დიდი რუდუნებით გასცემდა ყოველივეს, რაც მის ხელთ იყო. ეამაყებოდა ისტორიის არდავიწყება, მითუმეტეს თუ საქმე ჰქონდა ახალგაზრდებთან, რომელთათვისაც საუკუნოვანი სიძელეები ნაწილობრივ ბურუსით იყო მოცული. დაუდალავი შრომით იძნდა და სიამოვნებით გასცემდა უმდიდრეს და უიშვიათეს ინფორმაციას ყველასა და ყველის შესახებ, რაც მისი მხედველობისა და გონიერის არეალში იყრიდა თავს.

საინტერესო პიროვნება იყო ბატონი ბაგრატი: ულამაზესი გარეგნობის, მადალი და მხრებებაშლილი, საოცრად მიმზიდველი პირსახით, დინჯადმოსაუბრე, კეთილსაღმიანი და შრომისმოყვარე.

ბაგრატ საბას ძე გოცირიძე დაიბადა 1917 წლის 3 ნოემბერს ონის მაზრაში.

მისი მამა (საბა) იყო ხაბაზი, ხოლო დედა – დიასახლისი. ბაგრატი სწავლობდა: გორის პედაგოგიურ ტექნიკურთან არსებულ ე.წ. სანიმუშო ოთხწლედში, გორის პირველ საშუალო სკოლაში (საქართველ-საფაბრიკო სკოლა), პოლიტექნიკურ ათწლედში, გორის ორწლიან პედაგოგიურ სასწავლებელში, თბილისის პუმბინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ისტორიის სპეციალობით) და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (მებაღუმევნახეობის სპეციალობით).

სწავლის პარალელურად ახალგაზრდა ბაგრატი მუშაობდა პიონერხელმძღვანელად, ფიზკულტურის მასწავლებლად, უფროსპიონერხელმძღვანელად, გორის რაიკომის პიონერთა განუფილების ინსტრუქტორად, სოფელ ატენის (გორის რაიონი) პიონერთა სარაიონო ბანაკის უფროს პიონერხელმძღვანელად და სოფელ მერეთის პიონერთა ბანაკის უფროსად, გორის თეატრის მსახიობად (1937-40 წ.წ.) და გორის პიონერთა სახლის

დრამატიული წრის ხელმძღვანელად.

ამასობაში დადგა ქამი სამშობლოს წინაშე სამხედრო ვალდებულების აღსრულებისა და ბაგრატი გოცირიძეც, ასეულათასობით ახალგაზრდასთან ერთად, ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

სამი წელი იბრძოდა ბატონი ბაგრატი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. იბრძოდა ვაჟკაცური შემართებით, რაზედაც მეტყველებს საბრძოლო ორდენებისა და მედლების სიმრავლე. სამწუხაოდ, მმიერ ჭრილობის გამო იგი მიიჩნიეს ბრძოლისუენაროდ და დააბრუნეს მშობლიურ გორში. ბაგრატ გოცირიძისათვის დაიწყო შრომითი მოღვაწეობის მეორე პერიოდი: სამხედრო ხელმძღვანელი, სამხედრო საქმისა და ისტორიის მასწავლებელი (გორის საშუალო და მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში), სამხატვრო სტუდიაში და საბავშვო თეატრში, გორის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რაიკომის მდივანი სამხედრო საქმეში, ბიუროს წევრი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, კულტურის განყოფილების გამგე, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი, გორის რაიკომის მდივანი, შემდეგ მეორე მდივანი და გორის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და ა.შ.

1973 წლიდან ბაგრატ გოცირიძე იყო რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, მაგრამ მაინც განაგრძობდა აქტიურ მუშაობას – წლების განმავლობაში იყო საბჭოთა მეურნეობისა თუ სამშენებლო ტრესტების გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე. რამდენჯერმე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პარტიის ქრილობების დელეგატი, საზოგადოება „ცოდნის“ განყოფილების მდივანი, ქ. გორის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი და ა.შ.

აი, ასეთი ხანგრძლივი, საინტერესო და მრავალფეროვანი შრომითი გზა ჰქონდა ბატონ ბაგრატს. დიდი ცოდნისა და გამოცდილების პატრონი გახლდათ ბაგრატ გოცირიძე, რამაც თავისი სამართლიანი ასახვა ჰპოვა მის ასეულობით პუბლიცისტურ წერილში, ათეულობით წიგნში და ნარკვევში. მის კალამს ეკუთვნის წიგნები „ალექსანდრე ნადირაძე“, „ალექსანდრე ოქროპირიძე“, „ეირიონ II და ლეონიძე“ და ნარკვევები გამოჩენილ ავიონების ქართველიშვილზე, დიმიტრი შალიკაშვილზე (ოთარის და ჯონის მამა), მ. მამარდაშვილზე, იაკობ გოგებაშვილზე, ნ. ლომოურზე, ა. ფურცელაძეზე, დ. ამილახვარზე

და მრავალ სხვაზე. ბევრი საგაზეთო წერილი აქვს მიძღვნილი 1924-25 და 1937-38 წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიებისადმი, გორის სახელმწიფო თეატრისადმი და გორელი მეცნიერების, სამეცნიერო მუშაკების, პედაგოგებისა და სხვა პროფესიის მოწინავე და სახელოვანი მოღვაწეებისადმი. ყველას ჩამოთვლა მართლაც ძნელია – იმდენად ვრცელი და მრავალფეროვანია ბატონი ბაგრატის კალმით ხადვაში.

ბაგრატ გოცირიძე იყო ქ. გორისა და ქ. რამენსკოეს საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები: ოქტომბრის რევოლუციის და სამამულო ომის I ხარისხის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები 18 მედალი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, სახალხო მეურნეობის გამოფენების ოქროს და ვერცხლის მედლები, მრავალი დიპლომი და სიგელი, მე-18 და 43-ე არმიების საპატიო ნიშნები და მრავალი სხვა.

ბევრი რამის გადატანა ფურცლებზე ვეღარ მოასწორ ბატონმა ბაგრატ გოცირიძემ. იგი თავისი ავტობიოგრაფიის დამატებაში (1995 წ.) წერს, რომ აპირებს გამოსცეს წიგნები: „გორის მაზრა“, „გორელები მეორე მსოფლიო ომში“, „გორის რაიონის მეურნეობა და მრეწველობა“, „გორი მე-20 საუკუნეში“ და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, ბევრი რამ გამოსაქვენებელი დარჩა ბატონ ბაგრატს. იმედს ვიტოვებო, რომ ბაგრატ გოცირიძის უმდიდრესი პირადი არქივი არ დარჩება სპეციალისტების ყურადღების მიღმა.

გოცირიძე როლანდი („ლონდიკა“)

გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს გორის ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებს შეემატა კიდევ ერთი ნიჭიერი სპორტსმენი როლანდი გოცირიძე, რომელმაც წლების განმავლობაში გარკვეული წლილი შეიტანა ქალაქის სპორტსმენთა წარმატებებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ როლანდისთვის (ლონდიკასათვის) სპორტის ესათუის სახობა არ გახლდათ მისი მთავარი ცხოვრებისეული მოწოდება. იგი იყო სულითა და ხორცით ინჟინერი. ქ. გორის №2 საშუალო



სკოლის დამთავრების შემდეგ, როლანდიმ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მეტყველეობის კვალიფიკაციით, ხოლო შემდეგ ქ. გორის ქალოვის სახელობის სამშენებლო ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით. მისი შრომითი მოღვაწეობა სწორედ ამ სფეროებში წარიმართა.

საქმის ცოდნითა და რუდუნებით ირჯებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში და სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობდა გორის ხის გადამატებელი ქარხნის ჯერ მთავარ ინჟინრად, მერე კი მის დირექტორად.

როლანდ გოცირიძე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა – იგი ჯერ პროპაგანდისტად შეარჩიეს, შემდეგ კი მიანდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის საპატიო მისია. უნდა აღინიშნოს, რომ როლანდ გოცირიძე ერთნაირი წარმატებით ართმევდა თავს მის წინ დასახულ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ დავალებებს და ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობისთვის არაერთხელ დაიმსახურა ჯილდოები, საპატიო სიგელები და მაღლობები.

იმავდროულად ცხოვრება მისგან მოითხოვდა უმნიშვნელოვანები ნაბიჯის გადადგმას – ოჯახის შექმნას და როლანდიმ თავისი ცხოვრების თანამგზავრად შეარჩია ქალბატონი მანანა და მალე მეგობარ-ნაცნობებმა და ნათესავებმა იზეიმეს ახალი ოჯახის შექმნა (1982 წ.).


ცხოვრება თავისი გზით მიღიოდა. მეუღლის და მამის როლში როლანდი მოჰლი თავისი არსებით ჩაეფლო და ვერავინ წარმოიდგენდა თუ ახალგაზრდა ოჯახის ბედნიერება მეტად ხანოკლე გამოდგებოდა.

1988 წლის 30 იანვარს, 42 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა როლანდ გოცირიძე. ვერ მოასწორ სრული ბედნიერებით თრობა და დასახული მიზნების აღსრულება. დაქტორივდა ქალბატონი მანანა, დაობლდა ორი ბოკვერი გიორგი და დავითი. მარტოხელა დედამ შეასრულა მეუღლის საფლავთან დადებული ფიცი და გამოზარდა ორი შესანიშნავი ვაჟებაცი. გიორგი (უფრო გაჟე) პროფესიით იურისტია და ამჟამად მუშაობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. დავითი კი სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა მშობლიურ ქალაქ გორში.

როგორც როლანდ გოცირიძის მეგობრები იხსენებენ, იგი ყოფილა მეტად გულწიფილი და რბილი ხასიათის პიროვნება. არასროს იქეტებოდა საკუთარ თავში და ცდილობდა რაც შეიძლება

მეტი ნაცნობი და ახლობელი ჰყოლოდა. არ უჭირდა საერთო ენის გამონახვა არც დიდთან და არც პატარასთან. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მეგობრებთან ერთად მაღლიან ქართულ სუფრასთან მოლენა. დინჯი და მოზომილი ნაბიჯებით სიარული უყვარდა გორის ქუჩებში და კეთილ სალამსაც ვერავინ ასწრებდა. მან ლირსეულად დაიმსახურა გორელების პატივისცემა და ხსოვნა.

თავაქალოვი კარლო



კარლო მიხეილის ძე თავაქალოვი იყო დვაწლოსილი სამეურნეო მუშაკი, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქვორის განაშენიანებისა და ობომეურნეობის სრულყოფის საშვილიშვილო საქმეში.

კარლო თავაქალოვი დაიბადა 1929 წლის 28 აგვისტოს ქართულში, მოსამსახურის ოჯახში. 9 წლისაც არ იყო, როდესაც მისი მამა, მიხეილ თავაქალოვი (ქალაქის ფინანსური განყოფილების გამგე) მოხვდა რეპრესირებულთა სიაში. კარლოს დედა ქალბატონი ნა-
ტალია ჩარქვევით იყო ბაბუის უფროსი მოლარე.

მარჩენალის გადასახლების შემდეგ ძალიან გაუჭირდა თავაქალოვების ოჯახს და კარლომაც გადაწყვიტა რაც შეიძლება მოკლე გზით და სწრაფად მიეღო რაიმე პროფესია, რათა თავისი შრომით მხარში ამოსდგომოდა ოჯახს და ეზრუნა თავის უმცროს დასა და მმაზე. ბატონმა კარლომ დამთავრა გორის მე-6 სკოლის რვა კლასი, სწავლა გააგრძელდა ქ. თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გააგზავნეს უკრაინაში (ქლვოვში) ერთ-ერთ მშენებარე ობიექტზე.

პროფესიონალი მშენებლები მაღლ გორში გახდნენ საჭირო და კარლომაც მოაკითხა მშობლიურ ქალაქს. ამ დროისთვის გორში მიმდინარეობდა მთავარი პროსპექტის (სტალინის ქუჩის) მშენებელი.

ბლობა და კეთილმოწყობა. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაება უკვე გამოცდილი კარლო თავაქალოვი, როგორც საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის მთავარი ზედამხედველი.

მომდევნო წლებში ბატონი კარლო მუშაობდა ქალაქის სარემონტო კანტორის მთ. ინჟინრად, თავისი ინიციატივით ჩამოყალიბდებული ქალაქის თბომეურნეობის სისტემის ხელმძღვანელად, სასტუმრო „ინტურისტის“ მთავარ ინჟინრად, სამშენებლო კონკერატივის უფროსად და ა.შ.

რომ იტევიან, მუხლმოუხხრელი მუშაობა იცოდა კარლო თავაქალოვმა; დღისით თუ დამით ჩართული იყო შრომის რიტ-მში და სხვგბსაც აძლევდა საქმისადმი ერთგულ და უანგარო დამოკიდებულ კინგ გბის მაგალითს.

ბატონი კარლო არაფერს იშურებდა თავისი უმცროსი დისა და ძმისათვის – უპატრონა, მიაღებინა განათლება, დააფრთხიანა და დააკვალიანა. არც კვალიოფიკაციის ამაღლება ავიწყდებოდა კარლო თვავებალოვს და დაუსწრებდად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ფაკულტეტი.

საქმისადმი მის ერთგულებაზე და თავდადებაზე მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტი. 1971 წელს ხანძარი გაჩნდა თბომეურნეობის ცენტრალურ საქვაბეში. ხანძარმა მიიღო კატასტროფული მასშტაბები. მომსახურე პერსონალი და ახლომდებარე ბინების მაცხოველებლები პანიკამ მოიცვა. კარლო თავაქალოვი, ყოველგვარი თავდაცეითი ტექნიკური საშუალებების გარეშე შევარდა გამჭვინვარებულ ცეცხლში და სათითაოდ გამოიტავდა იქიდან გონებადაკარგული ცეცხლფარაშები და თან ცდილობდა ხანძრის ჩაქრობას. როგორც ჩაძირვისთვის განწირებით გემიდან, როცა კაპიტანი ყველაზე ბოლოს შევლის თავს (თუ უშეველა), ისე კარლომ ყველაზე ბოლომ მიატოვა ალმოდებული საქვაბე და ყველაზე უფრო მძიმე დამწვრობები მიიღო. ასეთი იყო ბატონი კარლო და ასეთად ქმასოვრებათ გორედებს.

კარლოს შთამომავლობას შეუძლია სიამაყით იაროს ქალაქში, სადაც ბევრ შენობანაგებობას თუ სხვა სამეურნეო ობიექტებს კვლავაც ატყვია კარლოს ღვაწლ-მადლიანი ინჟინერული აზროვნების წარუშლებული ქვალი.

კარლო თავაძელივი გახსნდათ შრომის ვეტერანი და რამდენ-
იმე მედლის კავალერი. გარდაიცვალა 2002 წლის 12 ივნისს.

ქ. გორში დღეს ცხოვრობს და მოდგაწეობს ბატონი კარლოს ქალიშვილი, ქალბატონი მარინე, რომელიც უზრდის ქვეყანას ორ შეიღს.

კარაპეტიანი ზავენი (ქორა)



2007 წლის ადრიანი გაზაფხული მოუშენებელი ტკივილის მომტანი ადმონიჩნდა კარაპეტიანების დიდი ოჯახისათვის. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ზავენ (ჟორა) ბაგრატის ძე კარაპეტიანი.

„ხალხის გაზეთის“ 2007 წლის აპრილის ხომერში გვუთხულობთ: „ორმოცი მწუხარებით სავსე დღე გავიდა, რაც ჩვენგან წავიდა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მშენებელინებინერი, სამამულო ომის ვეტერანი ბატონი ქორა ბაგრატის ძე კარაპეტიანი. იგი იყო სიკეთით სავსე ადამიანი...“

დიახ, ბატონი ზავენი (ჟორა, გიორგი) იყო დიდი მშენებელი, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მისი აქტიური მონაწილეობით და ხელმძღვანელობით აშენებული ობიექტების არასრული ჩამონათვალიც კი საქმარისია, რათა წარმოვიდგინოთ მისი სამეურნეო მოღვაწეობის მასშტაბები: სასტუმრო „ინტურისტი“, კავშირგაბმულობის სახლი, ბამბეჭდის ქსოვილების კომპინატის მეორე რიგი, საკონსერვო ქარხანა, სურამის მინის ქარხანა, წისქვილკომპინატი, მაცოვარკომბინატი, ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხანა, ხაშურის გალანტერიის კომპინატი, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის №6 ქორპუსი, მრავალი საცხოვრებელი ბინა, სკოლა, საბავშვო ბადი და სხვა.



ზავენ (ჟორა) კარაპეტიანი დაიბადა 1922 წლის 24 მაისს. ცხრამეტი წლის იყო, როდესაც ენერგიული სწავლის შედეგად დაეუფლა უმაღლესი პოლიტექნიკური განათლების დიპლომს. შემდეგ კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ბატონი ზავენის ცხოვრებაშიც დადგა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწვეტის პერიოდი.

როული და იმავდროულად საინტერესო და მრავლისმეტყველი სიცოცხლე ჰქონდა ბატონ ზავენს. სწავლით, ბრძოლითა და შრომით იკვლევდა გზას და აკი დამსახურებულად მიაღწია კიდევ საზოგადოებისგან, კოლეგებისგან და ახლობელ-ნათესავებისგან დირსეულ აღიარებას და პატივისცემას, როგორც მეომარმა, წარმატებულმა მეურნემ, აღმშენებელმა, საზოგადო მოღვაწემ, თავდადებულმა მეოჯახემ, დიდი სითბოთი გამორჩეულმა მეუდღემ, მამამ და პაპამ. საყოველთაო აღიარება მხოლოდ რჩეულთა ხედრია და იგი შედეგია ხანგრძლივი და როული შრომითი მოღვაწეობისა, როდესაც თანდათანობით ივსება ინტელექტუალური განათლებისა და მრავალმხრივი გამოცდილების სიბრძნისეული სკივრი.

ბატონმა ზავენმა (ჟორამ) ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა გზა რიგითი მსაზღველიდან სამმართველოს უფროსისა და კომბინატის დორექტორის თანამდებობამდე.

ბატონი ზავენი იყო მაღალი დონის სპეციალისტი, რომელიც თავის გვერდით ზრდიდა მომავალ ახალგაზრდა მშენებლებს, ასწავლიდა მათ სამშენებლო ტექნილოგიებში დანერგილ სიახლეებს, თავისი პირადი მაგალითით უმტკიცებდა ადამიანებისადმი კეთილი და უანგარო დამოკიდებულების აუცილებლობას და ყოველდღიურ ცხოვრებაში (შინ თუ გარეთ) სინდისიერებისა და სამართლიანობის პრიორიტეტულობას.

განსაკუთრებული სითბოთი და მაღალი ადამიანური კონდიციებით იყო ბატონი ზავენი მისაბაძი ოჯახთან დამოკიდებულობაში. არავის ახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა ან უადგილო და უმიზეზო ჭირვებულობა. ყოველთვის გახლდათ თავმდაბალი, კულტურული, მზრუნველი კაცის ბუნებით, განათლებული და მომთხოვნი როგორც საკუთარი პერსონის, ისე სხვათ მიმართ. როგორც ყოფილ სამხედრო პიროვნებას, სისხლხორცში ჰქონდა გამჯდარი სიზუსტე და პუნქტუალობა, ყოველი წუთის რაციონალური გამოყენება, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა.

ბატონი ზავენის საბრძოლო, სამეურნეო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა მრავალი ორდენით, მედლით, დიპლომით და ა.შ.

იგი ეკუთვნოდა იმ თაობას, რომლისთვისაც უმთავრესი იყო სამშობლოს უანგარო მსახურება, კეთილსინდისიერება და დაუდალავი შრომა.

მიუხედავად დიდი შრომითი დატვირთვებისა, ბატონი ზავენი

მაინც ახერხებდა ვიწრო წრეში თავის ახლობელ-მეგობრებთან შეხვედრებს საზეიმო და საიუბილეო დღესასწაულებზე. ტკბილი და საინტერესო საუბარი იცოდა და არც ჯანსაღი იუმორი იყო მისთვის „უცხო ხილი“.

ბატონმა ზავენმა თავის უერთგულეს და უსაყვარლეს მეუღლესთან, ქალბატონ თინა კახნიაშვილთან ერთად აღზარდა ოთხი ერთმანეთზე საუკეთესო შვილი (მარიეტა, ვასილი, გოგი, ვალერი), რომლებმაც, თავის მხრივ, შექმნეს ოჯახები და ახლა ამაყად დაბიჯებენ იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში, სადაც ბევრ შენობა-ნაგებობას ნათლად ატყვია მათი მამის ნაფიქრალისა და ნამოღვაწარის ლირსეული კვალი. შვიდი შვილიშვილი მიჟყვება ბატონი ზავენის მიერ გაყვალულ სახიკეთო გზებს და მის მიერ სათაყვანებულ მცნებებს: სწავლა, შრომა, თავდადება და სიყვარული.

კვერნაქის სასაფლაოზე განისვენებს საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლი. მის საფლავზე ვერასდროს გაიხარებს ეკალ-ბარდი.

პიპაბიძე თემოზილა



შვილთან (ციაზო)



შვილიშვილთან
(ზაზა)

„ხალხის გაზეთის“ 2005 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „გულუხეთელი არსენა“. გთავაზობთ პატარა ამონარიდს ამ მასალიდან: „გულუხეთი ერთი პატარა და ლამაზი სოფელია აბაშის რაიონში, მშრომელი ხალხით, საამაყო ისტორიული აღგილებით, თვითმყოფადი ტრადიციებით, უკეთესი მომავლის რწმენით და რაღათქმაუნდა საინტერესო წარსულით“.

სწორედ ამ სოფელში იღებს საწყისებს თეოფილე კიკაბიძის ცხოვრება.

საწუთროს მუდმივადმბრუნავმა ბორბალმა შიდა ქართლში (კერძოდ გორის რაიონში) გადმოისროლა დასამკიდრებლად კიკაბიძების შთამომავალთა ზოგიერთი წარმომადგენელი, მათ შორის თეოფილე კიკაბიძე და ამირან კიკაბიძე (გორის ყოფილი სამხედრო კომისარი. დაიღუპა აფხაზეთში მიმდინარე საომარი ოპერაციების დროს, 1993 წელს).

თეოფილე კიკაბიძე დაიბადა 1910 წელს არსენა კიკაბიძისა და ნინო მიმინოშვილის მრავალშვილიან (შვიდი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი) ოჯახში.

საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ რაიონში და შემდგა უმაღლესი განათლების დასაუფლებლად ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის დამთავრების შემდეგაც, უკვე დიპლომირებული სპეციალისტი (სავაჭრო ეკონომიკა) სამუშაოდ გაანაწილეს ქ. გორში და ჩაიბარეს მეტად საპასუხისმგებლო სფეროს („გორვაჭრობა“) ხელმძღვანელობა.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდში ჩამოყალიბდა ბატონი თეოფილე გამოცდილ სამეურნეო მუშაკად. წარმატებებს მიაღწია რაიკავშირის თავმჯდომარედ მუშაობის დროსაც. ომის წლებში საბრძოლო პერიპეტიებზე ნაკლები სიძნელეებით როდი გამოირჩეოდა სამეურნეო ფრონტი: მუდმივი დააბულობა, არანორმირებული სამუშაო დღე, საწვავისა და ტრანსპორტის ნაკლებობა, უშუქობა, შიმშილი, სიცივე, სამუშაო ძალის დეფიციტი და ა.შ. აი, ასეთ პირობებში ხელმძღვანელობა ბატონი თეოფილე სამეურნეო ფრონტის ამათუიმ უბანს და მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვა თავი ხელისუფლების მიერ დასმულ ამოცანებს.

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბატონი თეოფილეს შრომითი მოღვაწეობა (მუშაობდა კასპის რაიკავშირში, გორის დამზადების სამმართველოში და სხვა) და სამართლიანადაც გახდა მრავალი სამთავრობო ჯილდოს (შრომის წითელი დროშის ორდენი, სოცშეჯიბრში გამარჯვებულის მედალი, საპატიო სიგელები და დიპლომები, ფულადი პრემიები და მადლობები) კავალერი.

შრომისმოყვარე ოჯახი შექმნა ბატონმა თეოფილემ საყვარელ მეუღლესთან, მარიამ აბრამიასთან ერთად. ქალბატონი მარიამი გახლდათ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადევნებისთვის.

ლი, ფლობდა უმნიშვნელოვანეს და ურთულეს პროფესიას, რასაც პედაგოგი ეწოდება. წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ სკრაში.

მეზობლები და ნაცნობები კეთილი სიტყვებით იგონებენ ბატონ თეოფილეს. ხახს უსვამენ მის თავმდაბლობას, შრომის-მოყვარეობას, ოჯახზე და შთამომავლობაზე განსაკუთრებულ ზრუნვას, საქმისადმი პროფესიონალურ და უანგარო დამოკიდებულებას.

ბატონმა თეოფილემ და ქალბატონმა მარიამმა აღზარდეს თრი შვილი – კიაზო და ლეილა.

თეოფილე კიკაბიძე გარდაიცვალა 1970 წელს შემოქმედებითი ძალების აღზევების პერიოდში, მაშინ როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მის შვილებსა და შვილიშვილებს.

დაკ, არ მოჰკლებოდეს, გორის კურნაქის სასაფლაოს სამუდამო განსახვენებელში დამკვიდრებულ ბატონ თეოფილეს, შვილებისა და შვილიშვილების (ზაზა და გიორგი კიკაბიძეები, ზურაბი და ხათუნა როსებაშვილები) მზრუნველობა და წმინდა სანთლის ფარფატი.

პიკნიკი ვლადიმერი



თითქმის 35 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ვლადიმერ კიკაბიძე 28-ე საგზაო საექსპლუატაციო უბანს (ნატასტარი-რიკოთის გადასასვლელი. დაახლოებით 150 კილომეტრი).

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მიიპყრო ქურადება გზების მშენებლობის ახალგაზრდა და ნიჭიერმა სპეციალისტმა ვლადიმერ კიკაბემ, მაგრამ მის პროფესიონალურ

აღმასვლას დროებით წინ აღუდგა მეორე მსოფლიო ომი და მანაც სამომავლოდ გადადო იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტა, რაზედაც ბაგშვობიდანვე ოცნებობდა.

როგორც ყველა ჭეშმარიტი ვაჟაპატი, ბატონი ვლადიმერიც თავგამოდებით იბრძოდა ქვექნის სასიკვთოდ გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ და ვალმოხდილი დაუბრუნდა მშობლიურ გორს.

ვლადიმერ კიკაბე დაიბადა სოფელ ჩხერში 1907 წლის 10 ივნისს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვლადიმერმა სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის ინჟინერთა ინსტიტუტში.

დიპლომირებულმა ინჟინერმა ომში წასვლამდე მიიღო შრომითი ნათლობა ზემო სვანეთის გზის მშენებლობაზე, შემდეგ კი 742-ე საგზაო უბანზე (უფროსად).

მისი საბრძოლო და შრომითი ბიოგრაფია მდიდარია საინტერესო მოვლენებით. იყო დიდი წარმატებებიც და დასახანი სელმოცარულობაც; საკუთარი ქვექნისადმი სიყვარული ბატონმა ვლადიმერმა არაერთხელ დაამტკიცა თავდადებული ბრძოლითა და შრომით როგორც საომარი ბატალიების დროს, ისე სამეურნეო-აღმშენებლობით ფრონტზე. ნათქვამის დასადასტურებლად მის მიერ დამსახურებული სამთავრობო ჯილდოების მცირედი ჩამონათვალიც კმარა: შრომის წითელი დროშის ორი ორდენი, მედალი გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, საიუბილეო მედლები მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 30 წლისთავისათვის, მედლები შრომითი წამატებებისათვის და შრომის ვეტერანის მედალი, რესაუბლივის დამსახურებული ინჟინერის და მოწინავე რაციონალიზატორის საპატიო წოდებები (შექმნა რენიგზის ლიანდაგებისა და საერთოდ სავტომობილო გზების თოვლის ნამქერებისაგან დასაცავი ფარების დამზადების მარტივი და ეფექტური მოწყობილობა). ვერცხლის მედალი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (ქ. მოსკოვი), მრავალი საპატიო სიგლი, დიპლომი და ფულადი პრემია და ა.შ.

ვლადიმერ კიკაბიძე შრომითი მიღწევების შესახებ სისტემატურად იბჭედებოდა წერილები სხვადასხვა ურნალ – გაზეობ-



ში („ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „გორი“, „გამარჯვება“ და სხვ.). ვლადიმერ კიკნაძე გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც პირველმა მიმართა წერილობით ცქ-ს მაშინდელ პირველ მდივანს ე .შევარდნაძეს ნატახტარი – გორის გზის მონაკვეთის სრულმასშტაბიანი რეკონსტრუქციის (ორმხრივი მოძრაობით) აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის წინადადებით და როგორც უგანათლებულესმა და გამოცდილმა ინჟინერმა თან დაურთო მოკლე ეკონომიკური გაანგარიშება.

სამწუხაროდ ბატონი ვლადიმერის სიცოცხელში ვერ მოხერხდა ამ ბრწყინვალე იდეის ბოლომდე რეალიზაცია. მშენებლობა (ორმხრივი გზის, შუაში გამყოფი მწვანე ზოლით) ახლაც მიმდინარეობს და ნაკლებად თუ იცის ვინმემ, რომ ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (უწ. „აბრეშუმის გზის“ ნაწილი) პროექტის სათავეებთან იდგა ბრძოლაში და შრომაში გამოწრთობილი, ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი ბატონი ვლადიმერ კიკნაძე.

ვლადიმერ კიკნაძეს მრავალჯერ გადაეცა სოცშეჯიბრში გამარჯებულის როგორც საკავშირო ისე რესპუბლიკური გარდამავალი დროშები. იგი მრავალჯერ იყო არჩეული პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად და კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატად.

გარეგნულად ახოვანი ტანისა და სანდომიანი შესახედაობის კაცი გახლდათ ბატონი ვლადიმერი. საოცრად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ყველასთან. მისი უპირველესი სალოცავი ნიშანსვეტი კი გახლდათ თჯახი, რომლის კეთილდღეობისთვისაც არაფერს იშურებდა. მიუხედავად ზოგიერთი ცხოვრებისეული უკუდმართობისა, ოთხივე შვილი გაზარდა შრომისმოყვარე, განათლებულ და სიკეთისმქეთებულ ადამიანებად, რომლებიც დღესაც ერთ მუშტად არიან შეკრულნი და ურთიერთ სიყვარულის ატმოსფეროში ზრდიან რვა შეილიშვილს პაპის სიყვარულისა და კეთილ საქმეთა უკვდაგყოფისათვის.

სიძნელეებით და ერთი შეხედვით გადაულახავი პრობლემებით იყო დატვირთული ბატონი ვლადიმერის საბრძოლო, შრომითი და პირადი ოჯახური მშენებლობის ცხოვრებისეული გზა, მაგრამ იგი გაჟაცეურად ართმევდა თავს სიძნელეებს; სიამოვნებას ჰგვრიდა ეკლიანი ბარიერების გადალახვა, მკერდაზიდული ებრძოდა ყოველგვარ უწმინდურობას და უსამართ-

ლობას და უანგაროდ ემსახურებოდა საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობას.

ასეთად იცნობდნენ მას და ასეთად დაამახსოვრდათ. სამწუხაროდ, 1979 წელს დვაწლმოსილი სამეურნეო, პარტიული და საზოგადო მოღვაწე ბატონი ვლადიმერ კიკნაძე გარდაიცვალა და მოუშუმებელი ტკივილი დატოვა ოჯახის წევრებისა და მრავალრიცხვობან ნაცნობ-მეგობართა გულებში.

წავიდა და სანუგეშოდ და სამაყოდ დატოვა სასახელო მონაგარი ოთხი შვილისა (დოდო – ექმი, ომარი – ინჟინერი, ციცო – ინჟინერი, გურამი – ინჟინერი) და რვა შვილიშვილის (მაია, ლადო, სოსო, ლელა, თინიკო, გიორგი, ნინიკო, თამუნა) სახით.

მადლიერი საზოგადოება არასდროს დაივიწყებს ბატონ ვლადიმერ კიკნაძის კაცური დიდებით მოსილ სახელს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის კვერნაქის მიწა. ამ ამაღლებული ადგილიდან, კეთილმოსურნეს, შეუძლია დაინახოს მის მიერ გაკალულ-აშენებული გზები.

კლიმიაშვილი გაზა

შინაგან საქმეთა უწყების სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს მუდამ ეკისრებოდა და დღესაც ეგალება ქვეყნის აღმშენებლობის პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ფორმირების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (რევოლუციები, სამოქალაქო ომები, კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, პოლიტიკური რეპრესიები და ა.შ.) მიღიცას ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვა ქურდობის, ყაჩაღობის, დივერსიების, სპექტაციის, პროსტიტუციის, კო-



რუფციის, ალკოჰოლიზმისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმე. საზოგადოებამ მრავალი შემთხვევა იცის, თუ როგორ მონაწილეობდნენ მილიციის შენაერთები გარეშე მტრებთან წარმართულ საბრძოლო ოპერაციებშიც კი.

მილიციის (დღეს კი პოლიციის) უპირველესი ამოცანა ხალხის სამსახურში დგომაა და ამისთვის თითოეულმა თანამშრომელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც თავისი უდირსი საქციელით ჩირქი მოსცხეს სისტემას და ხალხის რისხვაც დაიმსახურეს. საბედნიეროდ კი მილიციელთა უმრავლესობა კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ხალხს, სიცოცხლეს სწირავდა წესრიგის დასაცავად და ცხოვრების უსაფრთხო პირობების შესაქმნელად.

კუკარაჩამდეც (ნ. დუბაძის რომანის გმირი) და მის შემდგაც ქართულ მილიციას ყავდა და დღესაც (პოლიციას) ყავს თანამშრომელთა ისეთი უმრავლესობა, რომელიც მზადა თავიც კი გაწიროს საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად. დღესაც ბევრი გვყავს პოლიციელი, რომელიც გამოირჩევა განათლებით, საქმისადმი ერთგულებით, პატიონებით, ობიექტურიბით, მოქალაქებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით, სიმამაცითა და რაინდული ყოფაქცევით.

ყველა ეს ეპითეტი ახალგაზრდობაშივე სრულად მოირგო მილიციის აწენსახენებულმა მუშაქმა, პოლკოვნიქმა ვაჟა კლიმიაშვილმა, რომელმაც ცხოვრების ურთელესი გზა ვაჟაცურად გაიარა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული მილიციის (კერძოდ) და საზოგადოების (ზოგადად) მრავალ ჭირგადატანილ ისტორიაში.

ვაჟა კლიმიაშვილი დაიბადა 1934 წლის აგვისტოს ქარელის რაიონის სოფელ რუესში, ირაკლი და სათო კლიმიაშვილების მრავალშვილიან (ხუთი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი) ოჯახში. ამავე სოფელში მიიღო საშუალო განათლება. ბავშვობიდანვე ეტყობოდა ჯანმაგრობა და გამარჯვებისაკენ ლტოლვა, რამაც მიიყვანა საჭიდაო არენამდე. გორის ე.წ. ახალბალის საჭიდაო ასაპარეზე არაერთხელ დასჭიდებია იმდროისთვის ცნობილ ფალავნებს და წარმატებებისთვისაც მიუღწევია. გარჯამ და სისტემატურმა წვრთნამ თავისი გამოიღო და ვაჟას დამსახურებულად მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ვაჟას ძლიერი სხეული და დაუოკებელი ჭაბუქური სული დიდ ასპარეზს ითხოვა და მანაც მოკრძალებით შეაღო ჭ. ბენდელია-

ნის სახელობის თბილისის სააგიაციო სახწავლებლის კარები.

მიმზიდველი იყო მფრინავის პროფესია ახალგაზრდა ვაჟაციისათვის. პროფესიული განათლების შემდგომი ეტაპი კი მან გაიარა ხარკოვის საავიაციო უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ, სამწუხაროდ, მაცრმა სამედიცინო კომისიამ (რიგ მიზეზთა გამო) ბატონ ვაჟას არ მისცა „დიდ ავიაციაში“ ფრთების გაშლის საშეალება და ისიც დაუბრუნდა მშობლიურ გორს. მისთვის დამახასიათებელი მონდომებით და ერთგულებით აქტიურად ჩაერთო სამოქალაქო ცხოვრების ყოველდღიურობაში. ვაჟას მუყაითი შრომა, მიზანსწრაფულობა და საზოგადოებრივ საქმიანობაში სწორი ორიენტაციის უნარი შეუმნიერებლი არ დარჩენია სამეურნეო და პარტიულ ხელმძღვანელობას და სულ მაღლ იგი, როგორც იტყვიან, თითო საჩვენებელი გახდა. მალე მას იოჩევენ პარტიული ორგანიზაციის თავკაცად. ორიოდე წლის შემდეგ კი ვაჟა კლიმიაშვილს აგზავნიან ქ. ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც წითელი დიპლომით დაამთავრა. როგორც თვითმხილვები გადმოსცემენ – ვაჟას სურათი თურმე სისტემატურად იყო გამოფენილი უმაღლესი პარტიული სასწავლებლის საპატიო დაფაზე. სწორედ ამ სურათის ნახვის შემდეგ დაინტერესებულა ვაჟას პირვენებით, ბაქოში სპეციალურად გორელ კურსანგრო სასწავლის პროცესის გასაცნობად ჩასული, ქ. გორის საქალაქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი შალვა ბერიანიძე. გაუცვნია ვაჟა, მოსწონებია იგი, შეუქია ხმამაღლა; გულში კი პირველ მდივანს თავისთვის განუსაზღვრავს ვაჟას სამომავლო ცხოვრების კონტურები. როგორც შემდეგში გამოჩნდა, ვაჟას ამზადებდნენ ქ. ხაშურის რაიონის მდივნად, მავრამ ამს. შ. ბერიანიძემ იგი არ გაუშვა გორიდან და ჩაბარა შ.ს. გორის განყოფილების ახლადგამოყალიბებული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. აქედან იწყება ვაჟა კლიმიაშვილის შრომითი მოღვაწეობის ორი ფრონტი – სამეურნეო და პარტიული.

ბატონი ვაჟას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომი წლები გვიჩვენებს, რომ იგი წარმატებული იყო ორივე „ფრონტზე“: არაერთი უძილო დამკ, დაბატული დღედამური რეჟიმი, სამართალდამრღვევებთან მუდმივი ბრძოლა, სიცოცხლისათვის სარისკო შეტაკებები, ყაჩაღის ხელიდან სასიკვდილოდ მოქნეული დანის წარმევა, შიგადაშიგ ჭიდაობის იღეთების გამოყენება და პარალელურად პარტიული აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა განყოფილების პირად შემადგენლობასთან და ა.შ.

ყველა როდი უძლებს ასეთ დატვირთვას – ვაჟამ გაუძლო. გაუძლო კი არა და უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე აიყვანა თავისი მოღვაწეობა და არაერთი სამთავრობო ჯილდო, საპატიო სიგელი და მადლობა დაიმსახურა. დაიმსახურა სამართლიანად. მის სამხრებსაც ემატებოდა ვარსკვლავები და ლამაზ და ძლიერ ტანზე მოხდენილად მოირგო პოლკოვნიკის მუნდირი. ამას კი დასჭირდა თითქმის ორმოცწლიანი მუხლმოუხრელი შრომა და თავანწირვა ჩეკისტის ხიფათებით სავსე გზაზე.

ყოფილი პატიმარი ქალის მოგონებიდან: „...სისტემატურად მცემდნენ, შეურაცყოფას მაყენებდნენ... ადარ მინდოდა სიცოცხლე, მძულდა ყველა და ყველაფერი... ერთ დღეს კი მოულოდნელად შეება ვიგრძენი, მომავლის იმედმა გაიფართხალა გულში, რაღაც სასიკეთო ტალღამ ჩამოიქროლა... მალე მიგხვდი, რომ ეს ბატონ ვაჟა კლიმიაშვილთან შეხვედრის მერე მოხდა. იგი თბილად მესაუბრებოდა, მხარზე ხელს მითათუნებდა, მამშვიდებდა და შვილებთან მალე დაბრუნებას მპირდებოდა.. მაშინ ვიწამერომ ჩვენს გარშემო კეთილი ადამიანებიც არიან. ღმერთმა ამრავლოს...“.

ვინ იცის კიდევ რამდენ ადამიანს შეუძლია ასეთი სიტყვებით ვაჟასადმი მაღლიერების გამოხატვა.

თბილი და ალერსიანი კაცი იყოო ვაჟა კლიმიაშვილი და აკი თბილი და სიკეთით სავსე ოჯახიც დაგვიტოვა. დაგვიტოვაო, ვამბობთ გულისტკილით, რადგან თავად მას გულმა უდროოდ უმტყუნა და თან გაიყოლა აუსრულებელი ოცნებები.

ვაჟა კლიმიაშვილი გარდაიცვალა 1997 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალულია გორში, კვერნაქის შემაღლებულზე.

ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა. ათიოდე თვის შემდეგ გარდაიცვალა ვაჟას მეუღლეც, ქალბატონი ანგელინა მოღებაძე და საყვარელი და ერთგული მეუღლის გვერდით დაიმკვიდრა სამუდამო სასუფევალი.

ერთ დროს ბედნიერი ოჯახის ტრადიციებს აგრძელებენ ბატონი ვაჟასა და ქალბატონი ანგელინას შვილები, მარინა (მათემატიკის სპეციალისტი) და მირიანი (კობა) – ეკონომისტი.

პაპა განსაკუთრებით მოაკლდათ შვილიშვილებს ლაშას, ნინოს, ვაჟას, მერაბს.

თბილი კაცი იყო – ხშირად ამბობენ ვაჟა კლიმიაშვილის შესახებ.

ოჂ, რა დიდი, მრავლისმეტყველი და მდიდარი შინაარსის მატარებელია ეს ორი ქართული სიტყვა: „თბილი კაცი“.

პორინოლი ოთარი



ოთარ მიხეილის ძე კორინთელი დაიბადა 1927 წლის 13 თებერვალს ქ. გორში. 1943 წელს დაამთავრა გორის მე-3 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1949 წელს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სამუშაოდ მიდის სვანეთში, სადაც მუშაობს ექიმად 1948 წლიდან 1950 წლამდე.

1951 წლიდან 1953 წლამდე მუშაობს გორის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმად. ეს ის პერიოდია, როცა რაიონში გაგრცელდა ინფექციური და პარაზიტული დაგვადებები. იგი ახალგაზრდული ენერგიით, ჯერ კიდევ ინსტიტუტში და შემდეგ სვანეთში ანხორციელებს სანიტარულ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, რითაც სასურველ შედეგებსაც აღწევს.

1953 წელს გადაჰყოვთ გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ.

1964 წლიდან 1973 წლამდე მუშაობს რაიონული სააგადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარგში, ხოლო 1973 წლიდან დაინიშნა გორის რაიონის და რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმად. მისი მუშაობის ამ პერიოდთანაა დაკავშირებული რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა ფართოდ დანერგვა, სამედიცინო დაწესებულებების კადრებით სრული დაკომპლექტება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მისი მუშაობის პერიოდში გაიხსნა შინდისის 35 საწოლიანი და ტყევავის 50 საწოლიანი სააგადმყოფოები. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული რაიონის მრავალპროფილიანი პოლიკლინიკის გახსნა, აგრეთვე სარაიონოთაშორისო ფსიქონევროლოგიური

დისპანსერის (ნარკოლოგიური განყოფილებით), სარიონოთა-შორისო ონკოლოგიური დისპანსერის და ცენტრალური სას-ტერილიზაციო განყოფილების შექმნა, ორმელიც რესპუბლიკის მაშტაბით იყო პირველი.

ოთარ კორინთელმა გაიარა სპეციალიზაცია და კვალიფიკა-ცია ოქრაპიაში, ენდოკრინოლოგიაში, ჯანდაცვის ორგანიზაცი-აში.



1967 წელს დაჯილდოებულია „ჯანმრთელობის დაცვის ფრი-ადოსნის“ ნიშნით. 1971 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახ-ურებული ექიმის საპატიო წოდება, 1972 წელს – I კატეგორიის თერაპევტის კვალიფიკაცია. 1987 წელს ჯანმრთელობის მდგო-მარეობის გაუარესების გამო თავს ანებებს მთავარ ექიმობას და აგრძელებს მოღვაწეობას ენდოკრინოლოგიაში,

ოთარ კორინთელი იყო რესპუბლიკის პერსონალური პენ-სიონერი. მისი ღვაწლი სათანადოდ დააფასა მისმა საყვარელმა ხალხმა და ქალაქის მერიამ, როცა 1997 წელს საზეიმო ვითა-რებაში აღინიშნა დაბადებიდან 70 და ჯანმრთელობის დარგში მოღვაწეობის 50 წლისთავი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ოთარ კორინთელი დაჯილ-დოებულია ღირსების ორდენით.

ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ქ. გორის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ყველასათვის საყვარელი კაცი – ოთარ კორინთელი გარდაიცვალა 2002 წლის 30 ნოემბერს.

ჰყავს მეუღლე ლეილა ჯაბაური – ექიმი-სტომატოლოგი და ორი შვილი მიხეილ კორინთელი – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ლია კორინთელი – ექიმი ნეკროპათალოგი.



მაკრახიძე მირიანი



მირიან ნიკოლოზის ძე მაკრახიძე დაიბადა 1933 წლის 14 თებერვალს ქ. გორში, მუშის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა №1 საშუალო სკოლა და უმაღლეს სასწავლებელში მოწყობამდე იმუშავა მუშად გორის რაიონის ჭარხლის დამამზადებელ პუნქტში (მაშინდელ დროში სასურველ და სასარგებლო პროცედურად ითვლებოდა სტუდენტობამდე შრომითი საქმიანობა, თუნდაც მცირედი დროით).

მირიან მაკრახიძემ 1958 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაბულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით.

ამ სტრიქონების თანავტორმა მირიან მაკრახიძე გავიცანი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. იგი მეგობრობდა ჩემს თანამოქალაქებთან (თელაველებთან) და ხშირად ვხვდებოდით მათ სტუმართმოყვარე თჯახში. კარგად მახსოვს პირველი შთაბეჭდილება. მირიანი იყო კარგი მომსმენ-გამგები, ოდნავ მოკრძალებული, დაფიქრებულად მოსაზრებე და იუმორის მოსიყვარულე ახალგაზრდა. მოხდენილი ტანთტეობა ჰქონდა მირიანს, რაც, როგორც მოგვიანებით გავიგვ, ტანგარჯიშისადმი მისი ტრფიალით ყოფილა განპირობებული. ისიც სასიამოვნოდ შემორჩა მესიერებას, რომ მირიანი კარგად სწავლობდა და ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი იყო.

1958 წლიდან იღებს სათავეებს მირიან მაკრახიძის შრომითი ბიოგრაფია. მან, როგორც განათლებულმა ინჟინერმა, ადვილად გაიკვლია გზა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მაღალი პარტიული პასუხისმგებლობაც უმაგრებდა ზურგს ბუნებით აქტიურ და ბეჯით სპეციალისტს. თითქმის ორმოცი წელი იმუშავა მუხლმოუხრელად და თავისი კაცური ვალი მოიხადა

ქვეყნის წინაშე.

ბატონი მირიანის უნივერსალობას ადასტურებს იმ ობიექტების უძოკლებული ჩამონათვალიც კი, სადაც მას უმუშავია და თავისი სიტყვა უთქვამს: საკავშირო ხელსაწყოთმშენებლობისა და მართვის სისტემების სამინისტროს გორის ქარხანა, საავტომობილო გზების სამინისტროს გორის №2 ა/ს საწარმო (დირექტორი), გორის სარეკლამო ბიურო (დირექტორი), №9 მექანიზაციის სამმართველო (უფროსი), გორის №3 ა/ს საწარმო (დირექტორი), კასპის №76 მ.მ. კოლონა (უბნის უფროსი), აგრომშენებლობის მცხეთის №2 ა/ს საწარმო (დირექტორი) და ა.შ.

ბატონი მირიანი არაერთხელ იქნა არჩეული ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად. იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი.

ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ბატონ მირიანს მიღებული ჰქონდა სამთავრობო ჯილდოები და საპატიო სიგელები.

ჰეშმარიტად თბილისურ ინტელექტუალურ ოჯახში გაუცხნიათ ერთმანეთი ბატონ მირიანს და ქალბატონ ლილი ნადაშვილს. მოსწონებიათ და შეყვარებიათ ერთმანეთი – შედეგად კი შეიქმნა ლამაზი ოჯახი. ამ ოჯახში ადიზარდა ორი შვილი – დავითი (კვების მრეწველობის ტექნოლოგი) და მარინა (მედიცინის სპეციალისტი, ოკულისტი). ორივე შვილი დაოჯახებულია და აწგარდაცვლილ (2003 წლის 8 იანვარს) მირიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად ზრდიან ქეთის, ლიკას, ნინოს და პატარა მირიანის.

ღმერთმა გაზარდოს კარგ ქართველებად.

ერთ-ერთი თითოთ საჩვენებელი და მოსიყვარულე წყვილი გახლდათ ბატონი მირიანი და ქალბატონი ლილი. ისინი სამაგალითონი და მისაბამი იყვნენ მრავალთაოვის.

კარგი თამადობაც იცოდაო მირიანმა –თვალცრემლიანად იორნებს ქალბატონი ლილი.

დღეს იმაზეც საუბრობენ, რომ ბატონი მირიანი ჰეშმარიტი ქველმოქმედი იყოო. მხოლოდ მირიანის გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი, თუ როგორ უანგაროდ და ზედმეტი ხმაურის გარეშე ქმარებოდა იგი გაჭირვებულებს.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს ბატონ მირიანს ქართული მიწის სამუდამო სასუფეველში.

მემანიშვილი ზაალი



ქართული აგრარული სკოლის დირექტორი წარმომადგენელი, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის გაერთიანების ყოფილი თავმჯდომარე ზაალ მემანიშვილი, თავისი დარგის საუკეთესო მცოდნე, ჰეშმარიტი მამულიშვილი იყო.

ბატონ ზაალს ჰქონდა განუმეორებელი პიროვნული თვისებები. მისგან სწავლობდნენ კაცომოვარებიას, სამშობლოს სიყვარულს, თვით ქართული სუფრის გაძლიერებაც კი. პირად ურთიერთობაში საოცრად თბილი, ტაქტიანი და კორექტული. მხოლოდ თავისი სპეციალობის ნაჭუჭმი არასოდეს იკატებოდა. შესანიშნავდ იცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, ხელოვნებას. მუდამ ცდილობდა რაიმე ახალი ესწავლა და სხვებისთვის უშურველად გაეზიარებინა. დროის ფლანგვა არ სჩვეოდა და ვერც სხვისაგან იტანდა ამას.

იყო მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი და სამეურნეო ხელმძღვანელი, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული. სამეცნიერო თუ საწარმო კონფერენციებზე, სესიებზე, სიმპოზიუმებზე და ყველგან მის მიერ წაკითხული მოხსენებები გამოირჩეოდა საოცრად მაღალი მეტყველების დონით.

მხოლოდ და მხოლოდ მაღალი ნიჭიერებისა და დიდი ენერგიის მეოხებით შეძლო ბატონმა ზაალმა სამეცნიერო შრომები გამოექვენებინა, რომლებშიც აგრარული მეცნიერების აქტუალურ, თეორიულ საკითხებთან ერთად გაანალიზებულია ამ დარგის განვითარების პერსპექტივებიც.

ზაალ გრიგოლის ძე მემანიშვილი დაიბადა 1938 წლის 27

მარტს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა – ცნობილი აგრონომი (დიდი წვლილი აქვს შეტანილი მცენარეთა დაცვის საქმეში). დედა, ქალბატონი ლუბა, განათლებული, კეთილშობილი და ქართული ტრადიციების ერთგული ქალბატონი გახდათ.

ბატონმა ზაალმა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1955წ.) მუშაობა დაიწყო ქ. თბილისში, ღვინის ქარხანაში, მუშად. 1955 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1960 წელს სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. 1964 წელს სწავლა გააგრძელა ი.ნ. ლომოურის სახელობის საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1974 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მუურნეობის მუცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მუშაობა დაიწყო მიწათმოქმედების სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში ლაბორატორიად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სწავლულ მდივნად. აქვე უნდა ადინიშნოს, რომ ბატონი ზაალი ამავე საცდელ სადგურში წლების განმავლობაში ატარებდა დისერტაციით და სხვა თემებით გათვალისწინებულ ექსპერიმენტებს.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ბატონმა ზაალიმ თავი გამოიჩინა, როგორც წარმატებულმა სამეურნეო ხელმძღვანელმა. 1975 – 1977 წლებში მუშაობდა გორის რაიონის სოფელ ვარიანის მუურნეობის დირექტორად, 1978 – 1984 წლებში – გორის რაიონის სოფლის მუურნეობის გაერთიანების თავმჯდომარედ, 1985 – 1987 წლებში – ამავე რაიონის ბერბუკის მუურნეობის დირექტორად. იყო რაიონული თუ სასოფლო საბჭოს (რამდენიმე მოწვევის) დეპუტატი.

ბატონი ზაალი თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო თუ სამეურნეო საქმიანობით დაკავშირებული იყო ქ. გორთან და გორის რაიონთან, რომელსაც თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ამოტომაც იყო, რომ იგი ოჯახით გორის მკვიდრი გახდა.

ბატონი ზაალი იყო სიცოცხლეზე და ადამიანებზე უსაზღვროდ შეუვარებული, მეცნიერი, სამეურნეო ხელმძღვანელი, განსაკუთრებული მეოჯახე, ერთგული მეუღლე და მზრუნველი მამა ორი ქალიშვილისა და მა ერთადერთი დისა, ყურადღებიანი ბაბუა, დირსეული მამულიშვილი, საოცრად ენერგიული და

ვერცხლისწყალივით მოძრავი.

1993 წლის ოქტომბრის თვეში დიდი უბედურება დაატყვდა თავს მემანიშვილების ოჯახს. შემოქმედებითი ძალების გაფურნების პერიოდში გარდაიცვალა ბატონი ზაალი და სანუგეშოდ დატოვა მეუღლე, ქალბატონი იზო (ფრანგული ენის სპეციალისტი), ორი ქალიშვილი – მანანა და მაია და სამი შვილიშვილი.

ზაალ მემანიშვილი დაკრძალულია ქ. თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

ნალიოაძე პეტრე



მე-20 საუკუნის 50-60 წლებში საქართველოში, რომ იტყვიან, ქუხიდა გორის მათემატიკური სკოლის სახელი. საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებელში მათემატიკურ მეცნიერებას ასწავლიდნენ სახელმოხვეჭილი პედაგოგები: გ. ხარაული, ს. დადიანიძე, პ. ჯულაბიშვილი, პ. ჩიტაშვილი და მრავალი სხვა.

გორელ მათემატიკოსთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახსნდათ ბატონი პეტრე ნადირაძე, რომელიც თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და ათასობით ახალგაზრდას გზა გაუკაფა მათემატიკის უაღრესად რთულ და იმავდროულად საინტერესო ლაბირინთების სამყაროში.

პეტრე ნადირაძე დაიბადა ქ. გორში 1930 წლის 12 იანვარს მრავალშვილიან ოჯახში (შვილი და-მმა). მამამისი, ბატონი სტეფანე პავლეს ძე იყო კოლმეურნეობის წევრი. დედა, ქალბატონი

თამარ გაბრიელის ასული ჩიტაშვილი იყო ოჯახის დიასახლისი.

მათემატიკური განათლება ბატონმა პეტრემ მიიღო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის ინსტიტუტში, რომლის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს. ამავე წელს დაიწყო მუშაობა გორის №1 ვაჟთა (შემდგომში №4 საშუალო სკოლა) საშუალო სკოლაში, სადაც ათეული წლების განმავლობაში მომავალ თაობებს ასწავლიდა ფიზიკას, ასტრონომიას, მათემატიკას.

პეტრე ნადირაძე პედაგოგიურ მოდვაწეობის პარალელურად ეწეოდა აქტიურ კომიკშირულ და პარტიულ საქმიანობას – იყო პირველადი თრგანიზაციების მდივანი. მრავალჯერ იყო ბიუროს წევრი. ადგილობრივი სახტოების აღმასკომის დავალებით ასრულებდა სახლომართველის მოვალეობასაც. სკოლაში ხელმძღვანელობდა მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სისტემას. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატოან არსებულ პროფექციორ სასწავლებელში, ტექნიკურში, პედინსტიტუტის მოსამადებელ კურსებზე, ხელმძღვანელობდა პედაგოგთა მეთოდგაერთიანებებს და მათემატიკის წრეებს. მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებზე ბატონი პეტრეს ადსაზრდელებმა მოიპოვეს მრავალი დიპლომი და სიგელი; თავად პეტრე ნადირაძე თრჯერ იყო დაჯილდოებული სოცურჯიბრში გამარჯვებულის მედლით.

მოგვაგს სკოლის ყოფილი დირექტორების სიტყვები ბატონი პეტრეს შესახებ:

ვ. ზექალაშვილი: „...ქალაქის პედაგოგიურ საზოგადოებაში დამკვიდრებული აქვს ძლიერი მასწავლებლის სახელი...“

ვ. გიგაია: „...ცდილობს პრაქტიკაში დანერგოს ყველა სასარგებლო სიახლე...“

ვ. ძეველაია: „...ექვსი წლის განმავლობაში 12-მა მოსწავლემ მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედალი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგ ვ. ნადირაძეს...“

ა. სავანელი: „...სისტემატურად კითხულობს პედაგოგიურ ლიტერატურას, ეცნობა ჩვენი ქვეყნის მოწინავე მასწავლებლების გამოცდილებას...“

ბატონმა პეტრემ 1958 წელს საფუძველი ჩაუყარა საკუთარ ოჯახს. დირსეულად ზიდეს ცხოვრების უდელი მან და მისმა

მეუღლემ, ქალბატონმა მერი მანჯაფარიშვილმა (ამჟამად პეტრიშვილი). ოთხი შვილი შეეძინა ოჯახს: ნანა (მათემატიკოსი), მე-4 საჯარო სკოლაში აგრძელებს მამის ტრადიციებს), დავითი (აგტონიშვილი, მოღვაწეობს ბიზნესში), გელა (ეკონომისტ-ბუღალტერი, მუშაობს ფირმა „ომეგაში“, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში) და ლელა (გელას ტყუპისცალი. გარდაცვალა მძიმე ავადმყოფობით).

ლექსის წერაც ეხერხებოდა ბატონ პეტრეს:

„გაივლის წლები, როგორც ყოველთვის,

და დავშორდებით ჩვენ, მეგობრები,

გვირობ, ცუდი რამ გულს არ წაგვებათ

და მომიგონებით კვლავ სიტკბოებით...“

დიას, მართლაც რომ ტკბილად იგონებენ ბატონ პეტრეს, როგორც პედაგოგს, მეგობარს, მამას და პაპას (პყავს შვიდი შვილიშვილი – დიმიტრი, თორნიკე, ვლადიმერი, დავითი, ხატია, თაონა, გიორგი).

პეტრე ნადირაძე გარდაიცვალა 2001 წელს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ოქროპირიძე სოფი



ასაკოვან გორელებს კარგიდ უნდა ახსოვდეთ საოცრად სიმპათიური გარეგნობისა და უფაქიზესი სულიერი სამყაროს მქონე, თბილად, მომხიბელები დიმილით მოსაუბრე ქალბატონი სოფიო ოქროპირიძე.

ოცი წლისაც არ იყო სოფი, როდესაც ყოფილი საბჭოთა

კავშირი ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

ამ მოქადაციან ქალბატონ სოფიოს პყავდა მცირეწლოვანი შვილი ციცო (ამჟამად ცხოვრობს ქ. გორში, სტალინის ქ. №25/32) და ამიტომ, იგი როგორც მედიცინის საეციალისტი, ფრონტზე არ გაიწვიეს და სამუშაოდ მიავლინეს გორში ევაკუირებულ სამხედროთა პოსპიტალში მედდის თანამდებობაზე.

ომის წლებში გორში ეშალონებით ჩამოჰყავდათ დაჭრილები. სამუშაო საათები არ იყო ნორმირებული. მუშაობდნენ მთელი დღე-დამის განმავლობაში. არანაკლები სიძნელეები იყო ზურგშიც. მამაკაცები იბრძოდნენ ფრონტის წინა ხაზებზე, ქალბატონები კი თავს ევლებოდნენ დაჭრილებს და პარალელურად ინახავდნენ ოჯახებს, ზრდიდნენ ბავშვებს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდათ საერთო გამარჯვებაში.

ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი გახლდათ სოფიო ოქროპირიძე.

ვინ იცის, რამდენ დაჭრილს მოჰყვარა შეება, გაუყუჩა ტკიფოლები, მოუშუშა ჭრილობები. მისი ერთი მომხიბვლელი დიმილი და იმედის მიმცემი ერთი სიტყვაც კი ალბათ საქმარისი იყო, დაჭრილის გასამსნევებლად და სამომავლო ბრძოლებისათვის განსაწყობად.

შეიძლება ითქვას, რომ ომის წლებმა მთელი თავისი სისახტიკით და სიმძიმით გადაიარეს ახალგაზრდა გოგონას მხრებზე, მაგრამ იგი პროფესიული (დამთავრებული პერნი სამედიცინო სასწავლებელი 1941 წ.) ერთგულებით და ცოდნით შეიარაღებული ვაჟკაცურად უძლებდა სიძნელეებს და არც ქალიშვილის აღზრდას აკლებდა კურადღებას.

სოფიო ოქროპირიძე დაიბადა სოფ. დისევში 1921 წლის 5 დეკემბერს. ექვს და-ძმაში იყო ყველაზე უმცროსი. სულ ოთხი წლის იყო როდესაც დაობლდა. დაამთავრა გორის მე-3 საშუალო სკოლის რვა კლასი და შემდეგ კი ტექნიკუმი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც არ უდალარია თავისი პროფესიისათვის ქალბატონ სოფიოს. თითქმის 50 წლის იმუშავა გორის სამედიცინო დაწესებულებებში და უმეტესი იყო გამორჩეული თავისი საქმის ცოდნით, ერთგულებით, პაციენტებისადმი თბილი და უანგარო დამოკიდებულებით და ადამიანებისადმი კეთილი განწყობით.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ასევე ომის წლებში გამოჩენილი თავდადებისა და შრომისათვის მიღებული პერიოდი მრავალი ჯილდო (სამამულო ომის ორდენი, შრომის პირველი ხარისხის დიპლომი და მედალი შრომითი მამაცობისათვის, სოცშეჯიბრში გამარჯვებულის სიელები და დიპლომები) პრემიები და მადლობები. რამდენჯერმე იყო მიწვეული ომისა და შრომის ვეტერანთა საკავშირო შეკრებებზე.

გორის საბრძოლო დიდების მუზეუმში დღესაც ინახება მასალები ქალბატონ სოფიო ოქროპირიძის შესახებ, მათ შორის ფოტოსურათი (სამხედრო მედდის ფორმით) და ომში გაწვევის ბარათი (ერთადერთი მას აღმოაჩნდა, როცა მუზეუმის ფორმირება ხდებოდა).

ქალბატონ სოფიო ოქროპირიძის ცხოვრებიდან მრავალ საინტერესო ეპიზოდებს იხსენებენ მისი კოლეგები და ახლო-ბელ-ნეოტესავები.

1985 წელს გორში სხვადასხვა კუთხიდან სტუმრად ჩამოვიდნენ ყოფილი დაჭრილები. ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა მათ ქალბატონმა სოფიომ სოფელ დისევის ე.წ. მუხის, იგივე იოანე მახარობლის ტყეში.

განსაკუთრებით იხსენებენ შემთხვევას, როდესაც მეცხვარე, ვინმე ალხანა, ეგონათ მკვდარი და გადაწყვიტეს დასაფლავება. ქალბატონმა სოფიომ შეამნია სიცოცხლის მბერიავი ნიშანწყალი, მიიღო სასწრაფო ზომები, მერე სპეციალური რეჟიმი და ადამიანი დაუბრუნა სიცოცხლეს.

მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია ქალბატონ სოფიოს. ყოფილა შემთხვევები, რომ უფროსი კოლეგების მიერ დაშვებული უნებური შეცდომებიც გამოუსწორებია თავისი დიდი პრაქტიკული გამოცდილების წყალობით და თბილისიდან სასწრაფოდ და საგანგებოდ ჩამოყვანილი პროფესორების მადლობაც დაუმსახურებია კვალიფიციური პირველადი სამედიცინო დახმარების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის.

სამწუხაროდ, ქალბატონი სოფიო, დღეს უკვე ვეღარ მიხედავს გაჭირვებულებს და ავადმყოფებს. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1996 წლის 7 ივნისს, გარდაიცვალა გორელ დაწესებულების ქალბატონთა ერთ-ერთი მშვენიერი წარმომადგენელი.

დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

პატარიძე გიორგი (ბონდო)

გიგაური თამარი

რიგითი, ჩვეულებრივი ოჯახის ცხოვრებით იმკვიდრებდნენ საზოგადოებაში ადგილს ბატონი გიორგი (ბონდო) და მისი მეუღლე ქალბატონი თამარი.

პომპეზურობას არჩვეული ოჯახის უპირველესი საზრუნავი გახდათ ყოველდღიური პრობლემების გადალახვა, თბილი და სასიამოვნო კერის დამკვიდრება და სიკეთისა და სიყვარულის არმოსფეროში შვილების გაზრდა და მათთვის სამომავლო ბილიკების გაძლევა. სიყვარულით შექმნეს ოჯახი და სიყვარულითვე ადულაბებდნენ მას მანამ, სანამ ბატონ გიორგის მუხთალმა საწუთრომ მოულოდნელად არ გამოაცალა გვერდიდან ცხოვრების ერთგული მეგობარი ქალბატონი თამარი.

ეს მოხდა 1969 წელს.

ფრთამოტებით არწიეს მოგაგონებდათ ბონდო პატარიძე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოლიათს წინ ელოდა შვილების გაზრდა-განათლების და დაოჯახების სირთულებით სავსე გზის გავლა.

თითქმის ოცდაათი წელი მარტო ეწეოდა ოჯახის მძიმე უდელს ბატონი გიორგი (ბონდო) და ყველანაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა შვილებისთვის უდედობით გამოწვეული ტვირთის სიმძიმე და არ მოეკლო მათთვის მშობლიური მზრუნველობა.

გიორგი (ბონდო) პატარიძე დაიბადა 1920 წელს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პატარიძისა და ნინა დიმიტრის ასულ ციხიოთრიშვილის ოჯახში.

ქალბატონი ნინას სტუმარომყვარეობა სალაპარაკო და სანაქებო ყოფილა მაშინდელ გორში. ბონდოს მამა ალექსანდრე კი გახდათ ცნობილი მექალამნე და უწყინარი ხასიათით და პატიოსანი შრომით საკმაოდ პოპულარული გამხდარა გორის მაზრაში.

გიორგი (ბონდო) პატარიძე პატარაობიდანვე დიდი ტანისა



და ახმახი გარეგნობის იუო (სიმაღლე 190 სმ). ფიზიკურად ძლიერი და ამტანი დაინტერესებული იუო სპორტით, კერძოდ კი ფეხბურთით. გასული საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს პირველობაში მონაწილე მექარეებს შორის იუო ერთ-ერთი საუკეთესო. სამწუხაროდ, პრინციპული თამაშის დროს, მძიმე ტრავმის გამო, დაუზიანდა ფეხი და მისი სპორტული კარიერაც შევურხდა

17 წლის იუო, როცა მექარის ფორმა ჩაიცვა და თავამოდებული ნახტომებით იცავდა „გორპოს“ კარს.

ოჯახის წევრები და ნაცნობ-მეგობრები იხსენებენ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს ბონდოს ცხოვრებიდან.

დედას, ქალბატონ ნინას, პატარა ბონდო წაუყვანია მაღაზიაში და გამყიდველისათვის უთხოვია – ბავშვისთვის ფეხსაცმელი შემირჩიეო. გამჭიდველს უკითხავს, რა ნომერი ფეხსაცმელი სჭირდება თქვენს ბავშვსო. დედას უპასუხია, 45-იო. გამყიდველს ენა ჩავარდნია გაოცებისგან.

ერთ-ერთი თამაშის დროს ბონდოს დაუჭერია ე.წ. „აუდვბელი“ ბურთი, ქუდი კი მოხდია ნახტომის დროს და კარში შევარდნილა. ბონდოს ბურთით ხელში გადაულახავს კარის ხაზი ქუდის ასაღებად. მსაჯს კი გოლის გატანა დაუფიქსირებია, რადგან ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

ბონდომ მთელი თავისი სიცოცხლე იმუშავა სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციებში. გამოირჩეოდა თავისი საქმის ცოდნით, მონდომებით და პასუხისმგებლობით. განსაკუთრებით მოსწონდა მეგობრების წრეში მოლხენა. დაჯილდოვებული იუო მუსიკალური ნიჭით – უკრავდა (ფორტეპიანო, გიტარა), მღეროდა, კარგად თამაშობდა ფრენბურთსაც, გატაცებული იუო თევზაობით.

მეუღლეც ტოლ-სწორი ჰყავდა. ქალბატონი თამარიც საუკეთე-

სოდ უცრავდა (ფანდურზე, გიტარაზე) და სამოდ მდეროდა. ქალბატონში თამარმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო სასწავლებელი და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებებში, მათ შორის, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურში. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ასევე გორის თეატრალურ საზოგადოებაში.

ქალბატონი თამარის დაკრძალვაზე (1969 წელს) უამრავი ხალხი ჩამოსულა მისი მშობლიური სოფლიდან (ახალგორის რაიონის, სოფელი იქოთი).

ქალბატონი თამარის მამა აღარ დაბრუნებულა გადასახლებიდან (1937 წ.) და მის დედას, ქალბატონ ოლიას გაუზრდია დაობლებული სამი შვილი (თამარი, მარგო, ვანო).

გიორგი (ბონდორი) პატარიძის და ქალბატონი მაყვალა, პროფესიით ისტორიკოსი, მრავალი ახალგაზრდა თაობის აღმზრდებული გახდავთ, როგორც პედაგოგი. ბოლოს კი, პენსიაში გასვლამდე, მუშაობდა გორის ბ/ქ კომბინატის ბაგა-ბაღში აღმზრდებულად.

ერთი საინტერესო ეპიზოდის გახსენებაც იქნება საინტერესო ბონდოროს ცხოვრებიდან.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში გორში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. იმ დროს უკელა ცნობილი ოსტატი თუ დიდოსტატი ქალი-მოჭადრაკე ეწვია გორში. თამაშისგან თავისუფალ ერთ-ერთ დღეს ბონდოროს წაუყვანია ქალთა მრავალრიცხვოვანი გუნდი სათევზაოდ ნაჯარმაგვის ტბაზე და თურმე, ასწავლიდა ანკესით თევზის ჭერას. კარგად მოულენიათ მოჭადრაკე გოგონებს.

სამწუხაროდ, ვეღარ ვნახავთ ბონდოროს მიერ მოგერიებულ „მკვდარ ბურთებს“, ვეღარ დავტკბებით მისი გიტარის პანგებით, ვეღარ შევეჯიბრებით სადღევრძელოს თქმაში და ვეღარც მის მიერ ანკესით დაჭერილ თევზს დავაგემოვნებოთ – 1998 წლის 10 ივნისს შეწყდა მისი სიცოცხლე. დაკრძალულია გორში, კვერნაქის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით.

სიცოცხლე კი გრძელდება. ბატონი გიორგის (ბონდოროს) და ქალბატონი თამარის მონაგარი აგრძელებს ოჯახის ლამაზ ტრადიციებს და თავისი ცხოვრების წესით უკვდავყოფებ მათ ხსოვნას (შვილები: ედვარდი, ნანა; შვილი-შვილები: დათო, თამარი, ზურაბი, ვახტანგი, გიორგი; შვილთაშვილები: რობინზონი, ვახო, ნიკა, დათო, ედიკა).

სომხიშვილი ანზორი



ანზორ („ზაკანჩურა“) გიორგის ქე სომხიშვილი დაიბადა ქ. გორში 1935 წლის 25 სექტემბერს, მოსამსახურის ოჯახში.

დედა – ვერა ბაფეროვანი დიასახლისი გარდაიცვალა 1961 წელს.

მამა – გიორგი სომხიშვილი (წლების განმავლობაში მუშაობდა უსინათლოთა საზოგადოებაში სამქროს უფროსად), ნიჭირი, კეთილშობილი პიროვნება. გარდაიცვალა 1973 წელს.

დედმამიშვილები: უფროსი და – იზოლდა სომხიშვილი, პედაგოგი – ჰეიგე მეუღლე და ორი შვილი – ელზა და გია პანკრატოვები, რომლებიც დედასთან ერთად პედაგოგებად მუშაობენ ახრისის საჯარო სკოლაში.

უმცროსი და – თამარ სომხიშვილი მუშაობს აღმზრდებულად მუ-9 საბავშვო ბაღში, ჰეიგე ორი შვილი – ინგა და გია აბალკაცები.

მმა ომარი (პატარა „ზაკანჩურა“) სომხიშვილი, პროფესიით პედაგოგი, განათლებული და უფროს მმასავით დიდი იუმორის ნიჭით ცნობილი, გარდაიცვალა 1984 წელს. დარჩა მეუღლე და ორი ქალიშვილი – ვერიკო და მარიკა სომხიშვილები, რომლებმაც არ უდალატეს ოჯახურ ტრადიციას და პედაგოგებად მუშაობენ ქ. გორის მუ-8 საჯარო სკოლაში.

ანზორ სომხიშვილმა საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახლმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში თავი გამოიჩინა, როგორც

წარჩინებულმა და აქტიურმა სტუდენტმა, მთავრობის მოწოდებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა და მეცნიერებთან ჯ. კაპეტივაძესთან, გ. ძიძიგურთან და სხვა სტუდენტებთან ერთად 1957-58 წლებში იმყოფებოდა ცენტრ პეშკოვგაში ყამირი მიწების ასათვისებლად. საუკეთესო სპორტსმენი, ნიჭიერი მოჭადრაკე სშირად მონაწილეობდა საჭადრაკო ტურნირებში, ამხანაგური შეხვედრები ჰქონია ცნობილ მოჭადრაკებთან – მიხეილ ტალანტი, ნონა გაფრინდაშვილთან და სხვ.

არჩეული იყო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესიონალური მისამართებულის თავჯდომარებდა. მისი ინიციატივით 1964 წელს კინდლში, ინსტიტუტის ბაზაზე, გაიხსნა ბანაკი სტუდენტებისა და ლექტორ-მასტავებლებისათვის. ანზორი მუშაობდა გეოლოგია-ბიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად და სტუდენტებს ხელმძღვანელობდა ყირიმში (იალტა), პრაქტიკული სამუშაოების შესრულებაში. წლების განმავლობაში მუშაობდა ინსტიტუტის რექტორის ბ-ნ გიორგი ხარაულის მოადგილედ სამუშაოების დარგში, საუკეთესო მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა არაერთი მადლობა.

ანზორ სომხიშვილი იყო კეთილშობილი პიროვნება, გაჭირვებულის დამხმარე, ერთგული მეგობარი, კარგი მომლხენი, დიდი იუმორის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება.

ანზორ სომხიშვილმა 1968 წელს შექმნა ოჯახი, მაგრამ არ დასცალდა სრული ადამიანური ნეტარება, ოჯახის სითბოთი ხანგრძლივი ტკბობა და სიხარული. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1973 წ. 18 ნოემბერს. დაკრძალულია გორში, კვერაჯის სასაფლაოზე.

გორის მოსახლეობამ კარგად იცოდა ანზორის იუმორისტული ნიჭის შესახებ. ბევრი დასამახსოვრებელი რამ უთქვამს და ბაჟარებია, რაც ყველას პირზე ეკურა წლების განმავლობაში. ამავე დროს მისი იუმორი არასოდეს ყოფილა ვულგარული და გამოირჩეოდა თვითმყოფადობით. ყველა ადამიანში არის რადაც აზარტი და ანზორისაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა საკოლმეურნეო ბაზარში ხანგრძლივად ყოფნა, პროდუქტის შერჩევა და უხაროდა და გამარჯვებად თვლიდა თუ ძუნწ გამყიდველს ფასს დააკლებინებდა და ამავე დროს საუკეთესოს შეიძენდა. ამ მიზნით, მხად იყო ბაზარში გაეტარებინა საათვი.

ერთ ქათამს დაადგა თვალი ანზორიმ. აუარა და ჩაუარა. მერე ხელიდან ხელში გადაიტანა, სიმძიმე შეუმოწმა, ფრთვ-

ბქვეშ შეხედა და შებერა. მოკლედ გამოკვლევა ჩაატარა და ფასი იკითხა. გამყიდველმა 10 მანეთი დაუფასა და მიუხედავად ანზორის თავგამოდგებული შეთავაზებებისა და ვაჭრობისა – კაპიკიც არ დააკლო. ანზორი ემხში შევიდა, აღარ ეშვებოდა ქალს.

– რვა მანეთს მოგცემ

– არა!

– ცხრა მანეთს მოგცემ, მარცხენა ფეხზე ფრჩხილი აქვს მოტეხილი?!

– არა, ათი მანეთი გითხარი და მოვრჩეთ...

– ცხრა მანეთსა და ათ შაურს გაძლევ, მოვრიგდეთ; ხომ უნდა დამიკლო ცოტა მაინც

– არა მეთქი! გაჯიუტდა მართლაც ძუნწი გამყიდველი.

ანზორს ცეცხლი წაეკიდა. მონადირის აზარტმა შეიძყორ. ერთიანად წამოწითლდა. მაინც არ მოეშვა, ენანებოდა საუკეთესო ქათმის ხელიდან გაშვება და ბოლო ხერხი იხმარა

– კარგი, მაჯობე და ეგ არი, მხოლოდ ასე მოვიქცეთ. მე ახლა წავალ, ცოტას გავივლ-გამოვივლი, მერე მოვალ და ეგ შენი ქათამი 12 მანეთი დამიფასე. მე დაგიწყებ ვაჭრობას, 2 მანეთი დამიკელი და შევიძებ შენ ფრჩხილმოტებილ ქათამს.

ასეც მოხდა. ანზორიზე ბედინერი იმ წუთებში არავინ იყო.

პრჩხაშვილი ალექსი

1985 წლის ადრიან გაზაფხულის ერთ მოღრუბლეულ დღეს გორის რაიონის სოფელ ძევერის მაცხოვრებლები დაღონებული და გულჩათხობილი გამოიყერებოდნენ – გულწრფელ სინ-



ანულს და მწუხარებას დაესადგურებინა მათ გულებში ალექსი ზაქარიას ძე ქორჩაშვილის გარდაცვალების გამო.

შველი გვარდიის კიდევ ერთმა დავაწლოსილმა კაცმა დატოვა ამჟეუნიურობა და თავისი, შრომით გამოპრძედილი სხეული სამუდამოდ მიაბარა მშობლიური სოფლის მადლიან მიწას.

ბატონ ალექსიზე ითქმის პირდაპირი და სრული გაგებით – „მშრომელი კაცი იყო“: დიახ, მან მთელი თავისი სიცოცხლე დაუდაბავ შრომაში გაატარა და უანგაროდ ემსახურა სამშობლოს, ხალხს, პროფესიას, ოჯახს და ნაცხობ-მეგობრებს.

მაშინდელი გაზეთები წერდნენ ალექსის მოსაგონარ წერილებს, სადაც ხაზგასმული იყო მისი პიროვნების დირსება ამ სიტყვით: „კაცი, რომელიც დააკლდა სოფელს“.

სოფელ ძევერაში დღესაც ამბობენ, რომ ალექსი თავის საქმეს გადასდება და ჯერ სხვის დაეხმარებოდათ. იმასაც ამბობენ, მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერ გაიგონებდით და სასტიკად სძულდათ კაცი, რომელიც უწმაწურად იგინებოდათ. თავად ყოფილა თავმდაბლობის, პატიოსნების მისაბამი მაგალითი და დამსახურებულად მოუპოვებია საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული.

გლეხის ოჯახში დაბადებულა ალექსი ქორჩაშვილი 1912 წელს (სოფ. ძევერა).

მამა ზაქარია შეძლებული გლეხი ყოფილა და იმდენად შეძლებული, რომ, თურმე, სოფელ ძევერამდე რკინიგზის ხაზის გაყვანაც კი პქონია ჩაფიქრებული საკუთარი ხარჯებით. იგი, როგორც სოფლის თავკაცი, დაკრძალულია ძევერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის ეზოში. ალექსის დედა ქალბარინი ლიზა მარწყვიშვილი გახლდათ დიასახლისი.

ბატონმა ალექსიმ საშუალო განათლება მიიღო ძევერის სკოლაში. ადრეული ასაკიდან ჩაება შრომით ფერხულში. მერე იყო მექანიზატორის როტული (და სოფლის მეურნეობისთვის იმ დროს ფრიად მნიშვნელოვანი) პროფესია და შრომა და კვლავ შრომა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

განსაკუთრებით ძნელი იყო ბატონი ალექსისთვის ომის წლები (1941-45). იგი, როგორც იშვიათი (იმ წლებისთვის) და სოფლის მეურნეობისთვის ასერიგად აუცილებელი პროფესიის მქონე, ფრონტზე არ წაიყვანეს და სამუშაოდ დატოვეს ზურგში.

არანაკლები სიძნელები ელოდა ალექსი ქორჩაშვილს შრო-

მის ფრონტზე და მისდა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რისთვისაც იგი არაერთი სამთავრობო ჯილდოს, ორდენის, მედლის თუ საპატიო სიგელის კავალერი გახდა.

მისი ჯილდოების კოლექციაში საპატიო ადგილი უკავია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის (ქ. მოსკოვი) მედალს.

ბატონი ალექსი გახლდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის საპატიო ჯილდოსა და წოდების მატარებელი.

აქ ურიგო არ იქნება, ხაზი გავუსვათ ბატონი ალექსის შემოქმედებით უნარს. მან საყოველთაო ენერგეტიკული კრიზისის დროს შესძლო თავისი ცოდნითა და ენერგიით გაეკეთებინა მიკროელექტროსადგური, რისი ენერგიითაც უსასყიდლოდ ამარაგებდა როგორც ოჯახს, ისე სოფლის სკოლას და კოლმეურების ადმინისტრაციულ შენობას.

ალექსი ქორჩაშვილის შრომითი გზა ასე გამოიყერება: ქინისის საბჭოთა მეურნეობაში ჯერ მუშად, შემდეგ მექანიზატორად, კომკავშირული უჯრედის მდივანი, ინჟინერ-მექანიზატორი, ძევერის კოლმეურნების უფროსი მექანიზატორი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინსტრუქტორ-მასწავლებელი (პენსიაზე გასვლის შემდეგ) და სხვა.

ბატონი ალექსისთვის ოჯახი იყო უპირველესი სალოცავი ხატი. მისი შვილები იგონებენ, რომ იგი საოცრად თბილი და მზრუნველი ყოფილა ოჯახურ ურთიერთობებში. ოჯახი კი მართლაც ლამაზი და მადლცხებული შექმნა ბატონმა ალექსიმ თავისი ცხოვრების განუურელ მევობართან და მეუღლესთან ქალბატონ ვარა ხუციშვილთან ერთად.

სტუმართმოვეარეობითაც გამორჩეული იყო ბატონი ალექსი. ხშირად გაიგონებდით – გემრიელი და მადლიანი სუფრის გაშლა იციანო ალექსი ქორჩაშვილის ოჯახში, თავს შემოგვლებიან და ყველანაირ გაჭირვებას დაგავიწყებენ.

ალექსი ქორჩაშვილის ღირსეულ ოჯახს ასევე ღირსეული შვილები (გურამი, ქეთინო, უუჟუნა, ნათელა) პყავს, რომლებმაც თავის მხრივ ქვეყანას მოუვლინეს ალექსის შვილი შვილი და ოთხი შვილთაშვილი.

იხარეთ, ალექსი ქორჩაშვილის შთამომავლობავ, თქვენ საამაყო წინაპარი გყავდათ.

ქურდოვანი თეიმურაზი



თეიმურაზ (თემო) დავითის ძე ქურდოვანი დაიბადა 1939 წლის 10 ივნისს, ქ. ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, ბატონი დავით ქურდოვანი დიდი ხნის განმავლობაში იყო სამსედო ორკესტრის წევრი. დედა, ქალბატონი თამარ ჭკუასელი იყენებოდათ ფრიად განთლებული ადამიანი. ცხოვრების დიდი ნაწილი ემსახურა ბიბლიოთეკებს, მინიჭებული ჰქონდა რესპუბილიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.

თეიმურაზ ქურდოვანი დაამთავრა გორის მე-2 საშუალო სკოლა. სიჭადუქეშივე დაინტერესდა სპორტით, კერძოდ ჭიდაობით და დაუდალავი წერთხების შედეგად მიაღწია კიდევ წარმატებებს. სხვადასხვა შეჯიბრებებში ნაჩვენები შედეგების შესაბამისად მიღებული ჰქონდა სპორტული თანრიგი და სიგელები.

როგორც ყველა ახალგაზრდა (გასული საუკუნის მეორე ნახევარი), თეიმურაზიც ისწრაფვოდა უმაღლესი განათლებისკენ, მაგრამ ჯერ აუცილებელი იყო საგალდებულო სამსედო სამსახურის გავლა და თეიმურაზმაც პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

1967 წელს თეიმურაზ ქურდოვანი დაიბადა გააგრძელა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა იგი აგრონომის დიპლომით. თანაკურსელ გოგონასთან, ციცო კუბლაშვილთან



ერთად შექმნა ოჯახი. შეეძინათ ორი შვილი – ელგუჯა და თამუნა. თამუნა ამჟამად მოღვაწეობს გორის ქორეოგრაფიულ სტუდიაში „იმედი“.

თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, თეიმურაზმა თავისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული შესაძლებლობები გამოსცადა პარტიულ თუ სამეურნეო სფეროში და ყველგან გამოირჩეოდა ინიციატივით, ენერგიულობით და მინდობილი საქმისადმი ერთგულებით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ინსრუქტორად პარტიის გორის რაიონულ კომიტეტში, „სოფტექნიკაში“, „საქსოფლდამზადების“ შემფუთავ ქარხანაში, სოფ. ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივნად, ქ. გორის „საზოგადოების“ ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელად, გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემაში და ა.შ.

მუშაობის პარალელურად, ბატონი თეიმურაზ ქურდოვანი დაიღებდა პროფესიულ კვალიფიკაციას, რაზედაც მეტყველებს მის მიერ მიღებული მოწმობები („მენეჯერი, ბიზნესი და მართვის პრაქტიკული ფსიქოლოგია“ (ქ. რიგა), 1990 წ. და „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სისტემის ეკონომიკისა და ორგანიზაციის მართვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები“ (ქ. რიაზანი, 1974წ.). ნაყოფიერი შრომითი მოღვაწეობისათვის თეიმურაზ ქურდოვანი მიღებული ჰქონდა არაერთი სიგელი, დიპლომი, მაღლობა და ფულადი პრემია.

ყოველდღიურ ცხოვრებაში თეიმურაზი იყო მორიდებული, თავმდაბალი და ყველასადმი კეთილგანწყობილი. სასიამოვნო იყო მასთან ყოფნა. მისი იუმორი ხომ საყოველთაოდ იყო აღიარებული. უყვარდა მეგობრების წრეში თავშეკავებული მოლხენა. მუდამ მზად იყო მხარში ამოსდგომოდა გაჭირვებულს.

განსაკუთრებით უყვარდა ოჯახი. არაფერს იშურებდა იმისთვის, რომ ერთგული მეუდლისა და საოცნებო შვილებისათვის შექმნა ცხოვრების საუკეთესო პირობები.

სამწუხაროდ დიდხანს არ გაგრძელებულა ბატონი თეიმურაზისათვის ეს წუთისოფელი. 60 წლის ასაკში გარდაიცვალა 2000 წელს და დატოვა დიდი ტკიფილი ახლობლების და ნათესავების გულებში. დაკრძალულია ქ. გორში კვერნაქის სასაფლაოზე.

ჩუხერშპილი ევგენია (შენია)



ძვირფასო მკითხველო! თქვენს მონამორჩილს, ამჯერად, ძალიან გაუჭირდა რაღაც ჩარჩოებში და საწიგნე მოთხოვნებში მოქცეული წერილის დაწერა უმშვენიერეს ქალბატონზე, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანზე და ვფიქრობ, სწორი არჩევანი გააკეთა, როცა გადაწყვიტა, რომ შემოეთავაზებინა მეუღლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ზაურ გიორგის ძე თეოტუაშვილის წერილი-მიმართვა დაობლებული შეიღებისადმი.

ჩემო ძვირფასებო, ჩემო შვილებო – ზურიკო და მაიკო! თქვენ იცით, რომ დედათქვენს ძალიან უნდოდა, მოყვარულის დონეზე, ვიდეოფილმი გადაედო ჩემს შესახებ. ეს სურვილი განსაკუთრებით მას შემდეგ გაუჩნდა, როდესაც ჩვენს უნივერსიტეტში (შიდა ქართლის საერთო უნივერსიტეტი. ავ.) ქურნალისტიკის ფაკულტეტი ჩამოვაყალიბეთ და თვითონ ამ ფაკულტეტის დეკანი გახდა.

იგი ხშირად მეტყოდა ხოლმე ამ სურვილის შესახებ. მე კი არასერიოზულად ვუდგებოდი და ხუმრობაში ვატარებდი – ფილმი გადამიღო, რა, გიორგი შავგულიძე ხომ არა ვარმეთქი.

ისე წავიდა ამქვეყნიდან, ისე უჩუმრად დატოვა თავისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, თავისი სამშობლო, რომელიც უზომოდ უყვარდა, რომ მისი ეს სურვილი

ვერ შევასრულეთ. სამშობლოს სიყვარულზე მოგახსენეთ. არ მასსოვან თუნდაც ისეთი შემთხვევა, რომ როდესაც ლოცულობდა და პირჯვარს იწერდა, დმერთს თავისი შთამომავლობის გამრავლებას და კარგად ყოფნას ხომ შესთხოვდა, ყოველთვის ამ სიტყვებით რომ არ დაემთავრებინოს: „დმერთო, გადამირჩინე ჩემი სამშობლო და გამიძლიერე“-ო.

გულწრფელად გეუბნებით ტანჯვაა ჩემთვის მისი ხსოვნის შესახებ რომ მიხდება წერა. ბედნიერი ვიქნებოდი, მას მოეთხორ ჩემს შესახებ.

მას უკეთესად შეეძლო თხრობა. იგი ხომ უაღრესად განათლებული ფილოლოგი და კარგი პედაგოგი იყო. არა მქონია შემთხვევა, რაიმე დამეწერა, რუსულად იქნებოდა ეს, თუ ქართულად, რომ მისთვის არ მიმეცა გასასწორებლად. თვით ბოლო ორი მონოგრაფია ეკონომიკურ დემოკრატიაზე და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, რომელიც მაიკოსთან ერთად თანაავტორობით გამოვციოთ, მათი პირველი ვარიანტი მან წაიკითხა, გაგვისწორა. თუმცა საბოლოო ვარიანტი ვეღარ ნახა. წიგნებს კი დავაწერე, რომ ლიტერატურული რედაქტორობა მას ეკუთვნის. ეს იმიტომ გაგაეთვე, რომ არ მინდოდა მისი გვარი ჩარჩოებში ჩამესვა. ალბათ, გამიგებთ. სამწუხაროა, რომ ვერც ამ ხსოვნის წერილს შემისწორებს, ჩემთვის დამახასიათებელ გრძელ წინადაღებებს ვერ შემიმოკლებს და ნორმალურ სახეს ვერ მისცემს ჩემს ნააზრევს.

მაინც ვწერ. ამით თქვენ მოგმართავთ, მაგრამ დედათქვენს ვესაუბრები. ვესაუბრები ჩვენი ოჯახის დედას, ბებიას, დიდების. მან ხომ ჩვენი ოჯახის მზრუნველობაში გაატარა თავისი ცხოვრება და აკი ამ ზრუნვაში უმტყუნა კიდეც გულმა. ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რატომ გავუშვი მარტოდ სოფელში, რატომ არ დავაძალე არ წასულიყო, რატომ არ დავაძალე ექიმთან წაყვანა თბილისში. ჩვენ ხომ შეგვპირდენებ: მოლად ვერ მოვარჩენო, მაგრამ შეღავათს კი აუცილებლად მივცემთო.

თქვენ ხომ იცით, თუ ერთხელ იტყოდა რამეს, ვერ გადათქმევინებდით. ვეტყოდი ხოლმე ქართლელი ჯიუტი ხარ მეთქი. განა იუარებდა. რა ვქნა, მე ასე მწამს და ასე იმიტომ ვიქცევიო – მეტყოდა ხოლმე.

ცალკე უნდა ვთქვა, რომ დედათქვენი კარგი სპეციალის-

ტის გარდა ძალიან კარგი მეოჯახე და დიასახლისი იყო. მან-სენდება, ჩვენს ოჯახში მეხუთე დისერტაციის დაცვის აღსანიშნავი სუფრა რომ გაიშალა (მაიასი, თემოსი და ზურიკოსი; ჩემი საკანდიდატო და სადოქტორო) ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ხოდარ ჭითანავას მიერ უენის მიმართ სადღეგრძელოში ნათქვამი სიტყვა: რომ არსებობდეს ქართული სუფრის გაშლაში სამეცნიერო ხარისხი, თქვენ უჟღველად დოქტორის ხარისხს მოგაკუთვნებდითო.

კარალეთის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ უენია სამუშაოდ გადავიდა იმავე სოფელში ნაჭარმაგვის რვაწლიან სკოლაში. ორი-სამი წელი სასწავლო ნაწილის გამგედაც მუშაობდა. ამ სკოლიდან ჩვენთან, შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტში გადმოვიდა უურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინ ი.ბ. სტალინის სახელს ატარებდა) ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობაში გამანაწილეს სამუშაოდ. საცხოვრებლად ერთოთახიანი ბინა სოფელ დიდ გარეჯვარში მქონდა დაქირავებული და იქ გავიცანი თქვენი მომავალი დედა – ევგენია (ჟენია) ტატოს ასული ჩუხრუკიძე. დიდით სამსახურში რომ მიდიოდა (მაშინ კარალეთის საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა), მე ფანჯარასთან ფეხის წვერებზე დავდგებოდი და ისე გუერებდი ხოლმე. ისე იყო თუ ასე, ერთ დღესაც სიყვარულში გამოვუტყდი. ერთხანობა იუარა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ დავითანხმე. მშიერ-მწყურვალი, დარიბ-დატაკი, უსახლკარო, დაბალი, გაშავებული – მე მისი მეუღლე გავხდი. ქორწილი მისმა მამამ, ჩემმა სიმამრმა გადაგვიხადა. ჩემი მშობლები და მშებიც ჩამოვიდნენ ქორწილში. გულახდილად გეუბნებით მაღლობელი ვარ დედათქვენის. რომ არა ის, ვინ იცის, იქნებ ცხოვრების სულ სხვა გავალებიდი.

იგი ალბათ იმიტომ წავიდა ამ ქვეყნიდან ჩემზე ადრე, რომ მეოქვა მადლიერების სიტყვები.

დედათქვენი ეგგენია (ჟენია) ტატოს ასული ჩუხრუკიძე დაიბადა გორის რაიონის სოფელ დიდ გარეჯვარში 1936

წლის 15 ოქტომბერს და გარდაიცვალა მისსავე სოფელში ჩვენს მიერ აშენებულ სახლში 2006 წლის 22 სექტემბერს, 25 დღე დაკლდა 70 წლისა რომ გამხდარიყ.

1953 წელს დამთავრა კარალეთის საშუალო სკოლის სრული კურსი და იმავე წელს ჩაირიცხა 6. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1958 წელს დამთავრა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის სპეციალობით.

უენიას მშობლები, მართლმადიდებელი ქართველები: მამა - ტატო ალექსანდრეს ძე ჩუხრუკიძე (1888-1965); დედა - ვარგარა ილიას ასული მჭედლიშვილი (1907-1993) სოფელ მეჯვრისხევიდან.

უენიას მამას სოფელში ხან ტატოს, ხან ესტატეს, ხან ანტონას, ხან ტატონას ეძახდნენ. ვეხუმრებოდი ხოლმე ასეთი ყველაფერში ძლიერი იმიტომ ხარ, რომ ოთხი კაცის ძალაა შენში ჩაქსოვილი-მეოქქი.

მათ ერთად ცხოვრების პერიოდში ორი შვილი შეეძინათ (ტატოს პირველი ცოლისგან, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, სამი შვილი ჰყავდა – უორა, მიშა და მარუსა) – ჟენია და ვანო. ვანო დღეს ჯანმრთელად არის. მასაც ორი ვაჟი – ზაზა და კახა ჰყავს. ზაზას ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ხოლო კახას – ორივე ვაჟიშვილი ჰყავს. ზაზას პატარა ვაჟიშვილს თავისი პაპის, ტატოს სახელი დაარქეს და ჟენიას ძალიან უხაროდა. იტყოდა ხოლმე: ბედიერი ვარ, მამახემის სახელი დავიწყებას რომ არ მიეცაო.

ჩემი და ჟენიას ქორწილი 1960 წლის 15 იანვარს შეძგა. დღესაც სანახებლად მაქვს ჯვარი რომ ვერ დავიწყეთ. ყოველთვის გვინდოდა ამის გაკეთება და ყოველთვის სახვალიოდ გადავდებდით ხოლმე. როგორ წარმოვიდგენდით, რომ „ხვალეს“ მოლოდინი ასე უცებ შეგვიწყდებოდა.

ორი შვილი გაზარდა ქალბატონმა ევგენიამ – ზურაბი (1961 წ.) და მაია (1965 წ.). ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო და ორივე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია. მუშაობებს შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტში. მაია ასევე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ასოცირებული პროფესორია. ორივეს შექმნილი აქვს ოჯახი. ზურაბის მეუღლე – თინათინ ტიტეს

ასული ოჩიეკიძე (1961 წ.) ვანის რაიონის სოფელ კუშუბოურიდან, დაამთავრა გორის ეკონომიკური უნივერსიტეტი, ამჟამად დიასახლისია. შვილები:

— ია თეთრუაშვილი (1980 წ.) ამჟამად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტია. ჰყავს ორი ვაჟიშვილი: კოტე (2000 წ.) და შალვა (2005 წ.) თაზიაშვილები, მეუღლე — მალხაზ შალვას ძე თაზიაშვილი (1971 წ.);

— ზაური (ბახო) თეთრუაშვილი (1982 წ.) პროფესიონალურისტი და საქმიანობით კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტია. ჰყავს მეუღლე — სოფო ავთანდილის ასული სულაშვილი (1986 წ. ამჟამად იგი სტუდენტია) და ქალიშვილი თინაონი (2004 წ.);

— ბექა თეთრუაშვილი (1987 წ.), ამჟამად უცოლშვილო, კომპიუტერული ტექნოლოგიების მეცნიერი.

მაიას მეუღლე — თემურ შედელის ძე ქარდავა (1965 წ.) წალენჯისის რაიონის სოფელ ზემო ეწერიდან არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოკტორი. შვილები:

— ლევანი (1985 წ.) იურისტია. მისი მეუღლეა ნატო ზურაბის ასული გაგანცელაძე (1984 წ.) რუსთავიდან. ფარმაცევტია და ლექციებს კითხულობს ჩვენთან უნივერსიტეტში. ჰყავთ ვაჟიშვილი ვასილ ქარდავა (2005 წ., თავისი დიდი პაპის — ვასილი ქარდავას მოსახლეება);

— განცა (1987 წ.) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია. ჰყავს პატარა ქალიშვილი — ნიაკო (2006 წ.).

ჟენია ბედინერი წავიდა ამ ქვეყნიდან. თავისი კეთილი სულის მოსახსენიებლად ამ ქვეყნად დატოვა ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი, ხუთი შვილისშვილისშვილი. ისინი უსაზღვროდ უყვარდა მას. აკი გარდაცვალების წინა დღეებში ბლოკნოტში დაწერილი ეპიტაფიაც დაგვიტოვა:

მიყვარხართ ყველა და ყველაფერი,

ამ სიყვარულით დაგიფერფელე მე.

დედა, ბებია, დიდედა!

მისმა შთამომავლობამ ღირსეულად მოაწყვეს საფლავი, დაბარებული ეპიტაფიაც დააწერეს ზედ.

ღმერთო, ძლიერო! გაანათლე ჟენიას სული, სასუფეველი დაუმკვიდრე იმ ქვეყნაზე და უმრავლე შთამომავლობა.

ჩხიპვაძე ნიკოლოზი ხირსელი თამარი



უძველესი და ურთულესი პროფესია გახსახვთ პედაგოგობა. თუ პედაგოგი პატიოსნად ემსახურება თავის პროფესიას და შესაბამისად საგუთარ ხალხს და ქვეყნას, მაშინ მას უმძიმესი ტვირთის ზიდვა უწევს საგუთარი მხრებით. ტვირთის მნიშვნელობა და სიმძიმე კი გამოწვეულია იმ დიდი პასუხისმგებლობით, რასაც ათასობით ახალგაზრდისათვის განათლების მიცემა და სამომავლო ცხოვრებაში სწორი მიმართულებების შერჩევა და გაკვალვა ჰქვია.

პედაგოგობა ყველა დროში უნდა იმსახურებდეს უდიდეს უურადღებას, პატივისცემას, მზრუნველობას და ღირსეულ აღიარებას, თუ გვსურს ქვეყნისა და ერის პროგრესი და მსოფლიოში აღიარებული ინტელექტუალური სიმადლეების დაპყრობა და ფლობა.

ნიკოლოზ ჩხიპვაძე და მისი მეუღლე, ქალბატონი თამარ ხირსელი განეკუთვნებოდნენ იმ პლეადას, რომლისთვის საც უპირველეს და სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა და ატარებდა განათლებული ახალგაზრდობის აღზრდისა და სწორ ცხოვრებისეულ გზებზე დაეყენების ეროვნული პრობლემა. მათ პირნათლად გაართვეს თავი თავიანთ ვალდებულებებს, რაზედაც თვალნათლივ მეტყველებს სამთავრობო ჯილდოების სიმრავლე და საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წიდება.

ნიკოლოზ ლუკას ძე ჩხიპვაძე დაიბადა 1904 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო ფარცხმაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი და იმავე

წელს მუშაობა დაიწყო გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სადაც დირექტორის თანამდებობა ეკავა თითქმის 40 წლის განმავლობაში.

ამავე ტექნიკური მუშაობდა ბატონი ნიკოლოზის მომავალი მეუღლე ქალბატონი თამარ ხირსელი, რომელიც სტუდენტებს ისტორიას და პოლიტიკონიმიას ასწავლიდა. მალე შეიქმნა ახალი ქართული ოჯახი, რომელმაც მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების საქმეში. მალე საბუთარი აღსაზრდელებიც შეემატა მოსიცვარულე მეუღლეებს. ორმა ქალიშვილმა დიდი სიხარული და ბედნიერება შთაბერა დირსეული პედაგოგების ოჯახს და ახალი შემოქმედებითი ბიძგი მისცა მათ ერთობლივ ცხოვრებას.

თვითმხილველები ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებენ ბატონი ნიკოლოზის ცხოვრებიდან. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური ი.პ. სტალინის სახელობის იყო. ბელადის საყოველთაო ლანდლგა-კრიტიკის წლებში, ტექნიკურმა შეინარჩუნა სტალინის სახელი, რაც ბატონი ნიკოლოზის უდაო დამსახურება იყო. უფრო მეტიც, კოლექტივმა ერთ-ერთ საზეიმო აღლუმშე გამოიტანა და ტრიბუნის წინ ამაყად გაატარა სტალინის დიდი სურათი. ეს ფაქტი შოკისმომგრელი აღმოჩნდა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და ატყდა ერთი ამბავი. ბატონ ნიკოლოზს იბარებდნენ ხან უშიშროების სამსახურში, ხან ქალაქის პირველ პირებთან და ხანაც ბიუროზე და არ მოუკლიათ საყვადურები და მუქარები თუ თითოს ქნევა. გულმოსულ ნიკოლოზს უთქვამს: „რა მოხდა ისეთი, მე თუ ერთი სურათი ხავატარე, თქვენ დღედაღმ თავზე გადგათ სტალინის უზარმაზარი ძეგლიო“ (იგულისხმება ქ. გორის ცენტრალურ მოედანზე მდებარე ძეგლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონმა ნიკოლოზმა და ქალბატონმა თამარმა აღზარდეს ორი უმშვენიერესი ქალიშვილი: ნანული (პროფესიონ მათემატიკონი) და ლია, იგივე ლიანა (ექიმი). ჰყავთ ორი შვილიშვილი ნიკოლოზი (პაპის მოსახელე) და თამარი (ბებიის მოსახელე) ქლიმიაშვილები.

კარგი თამადობა იცოდათ ბატონმა ნიკოლოზმა (იგონებენ ახლობელ-ნათესავები და მეზებლები) და ეს ტრადიციული საქმიანობა უფრო კარგად გამოხდიოდა, როცა სუფრას ქალბატონი თამარის მადლიანი ხელით გაწყობილი ბარაქა ამჟღვნებდათ.

ბატონი ნიკოლოზი (გარდ. 1974 წ.) და ქალბატონი თამარი (გარდ. 1994 წ.) განისვენებენ გორის კვერნაქის სასაფლაოზე.

ჟელიძე ოთარი (გურული)


სულ ორი წლის ყოფილა ოთარ ჟელიძე, როცა მათი ოჯახი რაჭიდან (ხოფ. ურავი) გორში ჩამოსახლებულა.

ოთარის მამა, ბატონი გიორგი სპეციალობით ბუდალტერი იყო, ხოლო დედა, ქალბატონი ბარბარე – დიასახლისი. გორის საზოგადოება და ახლობელ-ნათესავები ქალბატონ ბარბარეს იცნობდნენ, როგორც სპეტაკი სულის ადამიანს, გამორჩეულს თბილი ხასიათით და ენატებილობით. ეს თვისებები ახასიათებდა ოჯახის ყველა წევრს და მათ შორის ოთარისაც.

ოთარ ჟელიძე დაიბადა 1934 წლის 27 დეკემბერს სოფელ ურავში (რაჭა). წარმატებით დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა, შემდეგ კი თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის ელექტრო-მექანიკური ფაკულტეტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერმა მუშაობა დაიწყო გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში უმცროს მეცნიერმუშავის თანამდებობაზე. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გორის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში სამეცნიერო უფროსად, ნავთობის ბაზაში მთავარ ინჟინრად, „საქტარის“ გორის ბაზის დირექტორად და სხვა.

გურულის უახლოესი მეგობარი, ოთარ სოსანიძე იგონებს: „...ოთარის მმამ, ვაჟამ, მეზობლის, გერმანელი ექიმის სახელის დამახინჯებული ვარიანტი „გურული“ დაარქვა თავის უმცროს მმას. მთელი სიცოცხლის



განმავლობაში ამ სახელითაც იცნობდა მას დიდი და პატარა.“

ოთარ ჭელიძის პიროვნების დასახასიათებლად საქმარისია მოვიყანოთ მისი მეგობრების (ჭ. კაპეტივაძე, ო. სოსანიძე, ნ. ანანიაშვილი, ა. საამიშვილი, რ. კაპეტივაძე და სხვა) სიტყვები: „...უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი, განათლებული, სიყვარულისა და სიკეთის მიმდევარი და მქადაგებელი, ლამაზი იუმორის პატრონი, მიმზიდველი გარეგნობით, ათლეტი და მჭერმეტყველი, სასიამოვნოდ მომდევრალი, კულტურული და ზრდილობიანი, მრავალი ქალიშვილის სამიზნე; უყვარდა სპორტი (განსაკუთრებით ტანგარჯიში და ფეხბურთი), კინო, თეატრი, მხატვრობა (ბევრი სამო დღე ჰქონდა გატარებული მოსკოვის, პეტერბურგისა და თბილისის სამხატვრო გალერეებში), ხშირად ესწრებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების საექტაკლებს. გულზე ურთულესი ოპერაციის წინა დღეებიც სამხატვრო გალერეების დაფალიერებას დაუთმო...“

1963 წელს ოთარ (გუჩურ) ჭელიძემ ცირა ტატულაშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ოჯახს. მალე შეეძინათ ქალიშვილი ნანა, რომელიც ამჟამად არის მეცნიერებათა კანდიდატი – ზრდის ორ შვილს ლევანის და ნინოს.

სამწუხაროა, რომ შეიძლიშვილებს მხარში ვედარ ამოუდგება და ცხოვრების ურთულეს გზებზე ვედარ გაუძღვება ოთარი – მოსიყვარულე პაპა.

ვინც ოთარის იცნობდა, ძნელად წარმოსადგენი იყო მისი სიკვდილი. ეს ტრაგედია საბედისწეროდ დაატყდა მის ოჯახს 2003 წლის მარტის თვეში.

როგორც მომსწრენი და ოჯახის წევრები ამბობენ შევიცარელმა ექიმებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს გულის ურთულესი ოპერაცია და იმედმაც დაისაღგურა ახლობლების გულში, მაგრამ... დიახაც მაგრამ...

ეჭვი არსებობს, რომ ოპერაციის შემდგომ პერიოდში მისი მკურნალობის პროცესს რაღაც მოაკლდა, რაღაც გამორჩათ, რაღაც ვერ გაითვალისწინეს და რაღაც უგულველყვეს...

ლამაზი კაცი ოყო ოთარ (გუჩურ) ჭელიძე სულით და ხორცით. ერთი სიამოვნება იყო მის საზოგადოებაში ყოფნა.

ოთარ სოსანიძე დიდი სიამაყით ამბობს: „...ოთარი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა ახლობლებში და ზოგადად საზოგადოებაში. მისი ცხოვრება სანიმუშო მაგალითია უველა მისი ნაცნობისათვის და განსაკუთრებით ეწ. „ტრუსიკის“ მეგობრებისათვის...“

ამ სტრიქონების ავტორიც პარგად იცნობდა გუჩურის. არაერთხელ ჰქონია ბედნიერება მასთან ერთად ქართულ სუფრასთან მოლენენისა და სიმღერის.

გუჩურის განსაკუთრებით მოსწონდა და შესანიშნავად მდეროდა „წინ წყაროს“.

ვაი, რომ ვეღარ დაგვატკბობს ოთარი თავისი ინტელიგენტულით და მშვენიერი სიმღერით.

კვერნაქის მთის კალთები დაესაკუთრა მის სხეულს, სულიკი... სული გვჯერა, რომ დანარნარებს საქართველოს ცისფერ ცაში.

სუბულური ირაკლი



საზოგადოება არ ივიწყებს მისთვის საყვარელ ადამიანებს. გორს მრავლად ჰყავდა პატივსაცემი და ღირსეული ადამიანები, რომლებიც გამორჩეულნი იყვნენ ადამიანებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილური თვისებებით და ცხოვრების თვიდმეოფადი წესით.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ირაკლი სუბულური.

გთავაზობთ ირაკლის უმცროსი ძმის, ზელო სუბულურის

მოსაგონარ სიტყვებს უცვლელად:

„ირაკლი ხუბულური, აი, სახელი, რომლის ბადალი ძნელად თუ მოიძებნებოდა მეოცე საუკუნის 40-50-იანი წლების გორში და იქნებ კი საქართველოშიც. დიდი გორელი, სწორუპოვარი რაინდი, დიდი ფეხბურთელი (გორის საფეხბურთო გუნდში ბრწყინვალედ მოთამაშე ირაკლი მოსწონებია ლეგენდარულ საფეხბურთო მწვრთნელსა და სელექციონერს ანდრო უორდანიას და იგი მიუწვევია ახლადშექმნილი თბილისის „სპარტაკის“ გუნდში), მოჭიდავე, დიდი გულისა და სითბოს კაცი. მისი სახელი და ვაჟკაცობა ლეგენდად შემორჩა ქართლის შეუაგულს დღემდე ყოველივე ზემოთქმულის დასტურია თითოეული ნამდვილი გორელის და არაგორელის გულწრფელი აღმარცხება გამოწვეული ირაკლის პიროვნების ხიბლით...

...და მან მხოლოდ 37 წელი იცოცხლა!.. „მოცარტივით ახალგაზრდა წავიდა და მოცარტივით სახელი დატოვა გორში და არამარტო გორში“ – აი, ასე ახასიათებდნენ მას გარდაცვალების შემდეგ მისი მეგობრები.

ირაკლის ჩამომავლობა, ახლობლები, მეგობრები დღემდე თვალცრუემლიანნი ტაბილად მდერიან მის საყვარელ ქართულ სიმღერას:

„ჩემო ტკბილო მეგობარო,
შენი ნახვა მენატრება.“

იშვიათად თუ ახსოვს გორს ასეთი საყოველთაო, თვალცრუემლიანი დაკრძალვა. დიდ ვაჟაცს მოელი გორი და საქართველოს მრავალი კუთხიდან ჩამოსული გამორჩეული ვაჟაცები მიასვენებდნენ უკანასკნელ სასუფევლამდე...

ვინ იყო ეს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მხოლოდ 37 წელი იცოცხლა და ასეთი დიდი სახელი დატოვა? გადაჭარბებად თუ მოგეჩვენოთ რაიმე ზემოთთქმული, დაეკითხეთ ნებისმიერ ძირძველ გორელს. მადლობა ღმერთს, ისინი დღესაც მრავლად არიან გორში.

ირაკლი გორში დაიბადა 1921 წელს კარგი დედის, მაშინდელ გორში დიდი დედობით განთქმული ქალის დარიკოს და ვაჟაცი მამის გიორგი ხუბულურის ოჯახში.

ირაკლი ცხრა მმა ხუბულურების უფროსი მმა გახლდათ. ყმაწვილკაცობიდანვე ბევრთაგან გამოირჩეოდა აპოლონური სილამაზით და დარბაისლობით, დევეკაცის გულ-ხელითა და

მგრძნობიარობით, სიკეთითა და გულუხვობით და, რაც მთავარია, სულის მშვენიერებით!

...ბეთჰოვენი ერთხელ ვინმე ბრიყვმა თავადმა გაანაწყენა და ამის პასუხად კომპოზიტორმა მოსწრებულად მიუგო: „თავადო, შენნაირი თავადები იყვნენ, არიან და იქნებიან. ბეთჰოვენი კი ერთია“-ო. ეს პასუხი დიდკაცისა, ირაკლის ცხოვრებასა და კაცობას პერიფრაზად გამოადგება. დიახ, მაშინდელ გორში თავადებიც უხვად იყვნენ და რაიკომის მდივნებიც, პროფესორ-აკადემიკოსებიცა და პოლიციის უფროსებიც და დღესაც კიდევ უფრო მრავლად არიან, მაგრამ... მაგრამ ირაკლის სახელსა და ვაჟკაცობამდე მნელად თუ ვინმეს მიუღწევია.

...და ისევ დიდი პოეტის პერიფრაზი ბედნიერია გორი, ქართლის შეაგული, რომ ირაკლის ნაქონი სისხლით მის ქუჩებში დადიან: ზელო, აბდულა, დოდო, ზვიადი, გია, ლატი... და იარონ!.. იარონ!..

ამინ!

დედა-შვილი ჯულიეთა ხაჩიძე-ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური



„ამ ხელებმა გაგზარდეს და
ამ ხელებმა მიწა როგორ
მოგაყაროს“

დედა-შვილური ფენომენალური სიყვარულისა და ურთიერთთავგანწირულობის არაერთი ლეგენდა თუ თქმულება შემორჩა ქართულ ეპოსს უძველესი დროიდან, თუმცა დღესაც გვაქვს დედასა და შვილს შორის განსაკუთრებული სიყვარულისა და შესაშური ურთიერთპატივისცემის მრავალი ღირსეული მაგალითი.

ქალბატონი ჯულიეთასა და მისი შვილის, ზურაბის



დედა-შვილურ სიყვარულსა და ამაღლებულ ურთიერთობებზე დღესაც განსაკუთრებული სითბოთი საუბრობენ გორელები. მაგრამ, რაღათქმაუნდა, ამ მოსიყვარულე დედა-შვილის შესახებ ყველაზე უფრო საინტერესოდ და დიდი გულისტკივილით საუბრობს მეუღლე და მამა, გორში კარგად

ცნობილი პიროვნება, ბატონი ზელო ხუბულური. მოგვყავს მისი გახსენება შესწორებისა და დამატების გარეშე.

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი ეშხი დაგვიფარავდა, თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლარომ ვთქვათ მარაბდა“.

ეს სტრიქონები დიდი პოეტისა ზედმიწევნით მიესადაგება სულით ქართველ ქალს, მანდილოსანს, გამორჩეულ პედაგოგს, დიდებულ მეუღლესა და გულმხურვალე დედას ჯულიება ხაჩიძე-ხუბულურისას.

იშვიათად მინახავს ქალი, თავის სამშობლოზე ასე გულანთებული და მისოვის თავდადებული, მითუმეტეს, რომ ის ისტორიული იყო განათლებით და მისი თავდადება, ფუნდამენტალურ ქართულ საისტორიო წყაროებზე იყო დაყრდნობილი. მისი სიცოცხლის ბოლო წლები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. უნდა გენახათ, როგორ ჭირისუფლობდა ქართული სულის აღმავლობას, იგი მთელი თავისი ოჯახით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ლაშქრის შეუპოვარი მოკავშირე გახლდათ.

გამორჩეული იყო გორულ საზოგადოებაში მისი და მისი მეუღლის ზელო ხუბულურის სიყვარული და ოჯახი. მათ გაზარდეს ორი ვაჟაცი ზურა და ზვიადი. ჭეშმარიტ ქართველებად რომ უზრდიდნენ დედა-სამშობლოს და ამით იყვნენ უსაზღვროდ ბედნიერნი! მაგრამ, ვაგლას, რომ ავი

დარდი შემოაწვა მათ ბედნიერ ოჯახს... ზურა, ეს დევივით ვაჟაცი გაუსაძლისმა სენმა და ტკივილმა გატეხა და დაავადა...

...და როდესაც სიკვდილთან მორკინალი ზურაბი დამარცხდა, დედა ჯულიეტას სიკვდილის დასაწყისიც მაშინ დაიწყო. განადგურდა ქალი, უსაზღვრო იყო მისი გლოვა-ვაება, ერთოთავად თვალცრემლიანი მისტიროდა თავის უმცროს ვაჟს, გულში კი... გულში ჩუმად მოსთქვამდა.

„ვაი, საშოსა ჩემსა რამეთუ გშობე, ვაი, ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე, ვაი, ბაგეთა ჩემთა, რამეთუ გიძახოდი და არ გამეც ხმაი, ვაი, თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე...“

...და ისიც, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი დედა, ერთი წლის თავზე შვილთან მიმავალ გზას დაადგა!..

ლმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ქალები, ასეთი დედები!

ლმერთმა უმრავლოს საქართველოს ჯულიეტას და ზელოს შვილის, ზურაბ ხუბულურის დარი ქართველი ვაჟაცები.

უპირველესად რაც მაგონდება ზურას სახელის გახსენებისას, ეს სიყვარულია. დიახ, სიყვარული იყო მისი სარჩო-საბადებელი. ზურა ჭეშმარიტად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ქართველი რომეო გახლდათ სწორედ! მისებრი სიყვარულის ნიჭს ბევრი შეფარვით ინატრებდა და ინატრებს. მან, ბევრისგან განსხვავებით, კარგად უწყოდა, რომ მხოლოდ „სიყვარული აღგვამაღლებს...“

აი, ზურას სიყვარულის ტრაგიკული ეპილოგის ცრემლიანი მონალოგიც:



„შენი სიყვარულით შევიშალე,
არღარა მახსოვდა, ყველაფერი
ფეხშვეშ გაგიშალე,
შენ კი ვერ გამიგე და
შენი არ დაიშალე.
სიზმარში შეგხვდი და
სიზმარში გამეცალე.

არ ვნანობ, არა, რომ ყველაფერი
შენ განაცვალე, შენ გენაცვალე!“

...და სიკვდილის სარეცელზე მწოლი ვაჟკაცი დედას, თითქოს, ოთარაანთ გიორგივით ამოოხვრით ეტყოდა: „დედი, ხედავ ამ ანგელოსს! ეგ იყო ჩემი ბედისწერა“.

ბედნიერია ზურას სული, რომ სანუგეშოდ მისი და მისი მამის, მისი ძმისა, დატოვა პატარა მარიამი, შვილი, რომლის სიყვარულიც ანუგეშებდა სიკვდილის წინ...

ზურას კაცობის პორტრეტი გვინდა დავასრულოთ მისი მეგობრების მიერ, მის მიმართ გულწრფელად მიდევნებული სევდიანი გახსენებებით.

გელა ნადირაძე (ყრმობის მეგობარი): „ის იყო უაღრესად მორწმუნე და მიმტევებელი ადამიანი! მას შეეძლო პატიება და ჭირთათმენა. სამაგიეროდ, მას ცხოვრებაში იმდენი დაუმსახურებელი ტკივილი მიაყენეს, სხვა მის ადგილზე გაბოროტდებოდა!.. ზურამ შეძლო ყველასთვის ყველაფერი ეპატიებინა“.

სოსო ვაშაკიძე (ოჯახის მეგობარი): „ზურა იყო დამყოლი ხასიათის, დაბალ ხმაზე მოსაუბრე. ძალიან უყვარდა მეგობრები, დროსაც სულ მათთან ატარებდა. სიყვარულით შექმნა ოჯახი და ამ სიყვარულმა უსაყვარლესი ქალიშვილი მარიამი შესძინა, რომელსაც მამის სითბო მთელი ცხოვრების მანძილზე თან გაჰყვება.

სამწუხაროდ, მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. დაგვიტოვა ტკივილი და სევდა, რომელიც მძიმედ გვაწევს გულზე, ყველას, ყველას, ვისაც ზურასთან ოდნავი შეხება მაინც პქონია!..“

გივა ხაჩიძე (საქართველოს ფიზიკური პულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე): „ალალი, გულზევიადი, ვაჟკაცი, მეგობრების უდიდესი სიყვარულით გამორჩეული,

კაცომოყვარე, ლომჭაბუკივით ბრგე, მხრებგანიერი, სამშობლოსა და გორზე შეყვარებული ახალგაზრდა – ასეთი იყო ზურაბ ხუბულური.

ბუნებისა და მშობლების მიერ მომადლებული ნიჭით უხვად დაჯილდოებულ ზურას შეეძლო მხრებით ეზიდა თავისი და მეგობრების წილი ტვირთი. ასეთი იყო მისი ხასიათი, ცხოვრების წესი.

სამაგალითო, შრომისმოყვარე, დისციპლინირებულმა მოსწავლემ და სტუდენტმა თავისი ხასიათი საუკეთესოდ გამოვლინა სპორტის ისეთ ვაჟკაცურ სახეობაში, როგორიცაა ჩვენი ეროვნული თამაში „ლელო“ და შემდეგ რაგბი.

უწყინარ, მუდამ ღიმილიან ზურას, ერთხელაც არ მახსენდება გაბრაზება ან უკმაყოფილება გამოეხატოს ვინმეს მიმართ. მშობელი დედის მოკრძალებული რაიმე საყვედურის მიმართ მისებური რეაქცია მხოლოდ ერთი ფრაზით იყო გამოხატული – „პარგი, დედი, ყველაფერი გასაგებია, ხომ იცი, რომ ჩემთვის უსაყვარლესი აღმიანი ხარ“ და აქ მთავრდებოდა ყველაფერი... და, მართლაც, დამთავრდა ნაადრევად დედა-შვილური სიყვარული. მოურჩენელმა სენმა შეწყვიტა ზურას სიცოცხლე. ამ ტრაგედიას ვერ გაუმდლო მშობელმა დედამ... ერთ წელიწადში თან გაჰყვა შვილს მარადიულ სასუფეველში. წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა, რომლის სახელს არასოდეს დაივიწყებს ყველა ის, ვისი სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა ზურაბ ხუბულურმა“.

საჩუთვი

ავტორისაგან	3
1. აბაიაძე ივანე	4
2. აბრამიშვილი გიორგი	7
3. ადეიშვილი რომანი	10
4. არშაკუნი მათე	13
5. ბიჩინაშვილი ზაური	16
6. გაბუნია გურამი	18
7. გერმანიშვილი ასლანი	22
8. გიორგაძე ანზორი	26
9. გოცირიძე ბაგრატი	29
10. გოცირიძე როლანდი	32
11. თავაქალოვი ქარლო	34
12. ქარაპეტიანი ზავენი	36
13. ქიქაბიძე თეოფილე	39
14. ქიქნაძე ვლადიმერი	42
15. ქლიმიაშვილი ვაჟა	45
16. ქორინთელი ოთარი	50
17. მაკრახიძე მირიანი	52
18. მემანიშვილი ზაალი	54
19. ნადირაძე პეტრე	57
20. ოქროპირიძე სოფიო	59
21. პატარიძე გიორგი (ბონდრო), გიგაური თამარი	62
22. სომხიშვილი ანზორი	66
23. ქორხაშვილი ალექსი	69
24. ქურდოვანიძე თემო	72
25. ჩუხრუკიძე ევგენია	74
26. ჩხიყვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი	80
27. ჭელიძე ოთარი (გუჩურა)	82
28. ხუბულური ირაკლი	85
29. დედა-შვილი ჭულიეტა ხაჩიძე-ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური	87